

შინაური საქმეები.

ქოველ-კვირული გაზეთი

№ 30-31.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 26 აგვ. 1 სექტ. 1912 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

სხვის მოწერა მიიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში) სპეციალად—კაზაკების უკუგადასაცემად. და თბილისში კომპლექტთან სომხის აპარში, სომხიანის უკუგადასაცემად. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	წლიური ფასი:	ერთი თვე:
4 მანეთი.	სამ თვე:	2 აბაზი.
	სამ თვე:	2 აბაზი.
	მანეთი.	1 მანეთი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შრომითი და სხვა წესდების მოწერის მიზნით ქუთაისში დასაწესდება: თვიური 2 მ. და 1 ივნისი 2 მ. გარდაცვალების ფასი წინა გვერდზე პეტრე სტოქოლიანი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ. აღწერა: ქუთაისი: „მანაჟრა საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. გაბრიელ ეპისკოპოსი და ქუთაისის სემინარია—სიტყვა გაბრიელის სამღვდლოების კრებაზე; 2. ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო: სიტყვა ეპისკ. ლეონიდისა, სიტყვა მღ. ე. ჩხაიძისა; განსვენებულის ანდერძი. 3. საკითხი სულის უკვდავებაზე [გაგრძელება]—ფი—პე სი—ძე—სი; 4. რა გვეკრძალება? უცხოეთის მიმოხილვა—გულკეთილისა; 6. ეპისკოპოს დაფითის წერილი; 7. ლოთობა—მღ. კ. ანთაძისა; 8. პასუხი სოფლის მასწავლებელს—მღ. ტ. კაპანაძისა; 9. კაცთმოყვარეობაც ასეთი უნდა—გიორგი კაპეტევიძისა; 10. მოწერილი ამბები: სოფელი ბახვი—ბახველისა; 11. ვინ არის დამნაშავე?—უორანისა; 12. ქართველის საზოგადოება—ბილუნეთელისა; 13. ნეკროლოგი 14. საეკლესიო კითხვების განმარტება; 15. მადლობის გამოცხადება.

გაბრიელ ეპისკოპოსი და ქუთაისის სემინარიის საქმე.

ჩვენმა სამღვდლოებამ და საზოგადოებამაც უკვე იცის, რომ ამ უამარტოულია ხელის მოწერა მამა მ. კელენჯერიძის ახალ წიგნზე: „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა“, ტომი პირველი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ქართველი კარგად გრძობს ამ საქმის დიდ მნიშვნელობას. მაგრამ ამას უფრო ის იგრძნობს, ვინც ცოტათ, თუ ბევრათ ახლოს გაეცნობა მამა კელენჯერიძის შრომას და მის მიერ შეკრებულ ურიცხვ მასალას შესახებ გაბრიელის ცხოვრება—მოღვაწეობისა. თვითველი წერილი, თვითველი ახალი ფაქტი გარწმუნებს მკითხველს, რომ დიდი ვინმე გა-

მი გვყოლია გაბრიელი და მოისურვებთ, რომ ეს ვეებერთელა შრომა მამა კელენჯერიძისა (რამოდენიმე ტომი იქნება) მალე გამოქვეყნებული-იქნეს და ჩვენი სამღვდლოებაც შესაფერ კურადლებით და პატივით შეხვდებოდეს ამ სიმპატიურ და საშვილიშვილო საქმეს.

ჩვენ დრო გამოშვებით „შინაური საქმეების“ ფურცლებზედაც მივაწოდებთ ხოლომე მამა კელენჯერიძის ხელთნაწერიდან საყურადღებო გვერდებს, რათა მკითხველი უფრო დარწმუნდეს, რა დიდს საქმეს აკეთებს მამა მელიტონი.

ამ ჯამად გავახარებთ მკითხველს გაბრიელის ჯერეთ უცნობი (ე. ი. დაუბეჭდავი) სიტყვის დაბეჭდვით, შესხებ სემინარიის გახსნისა ქუთაისში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრჯერ გადავიკითხეთ ეს უკვდავი სიტყვა და ვერაოდეს ცრემლი ვერ შევიკავეთ თვალებზე. ვფიქრობთ, შენც ასე მოგივა, მკითხველო! აი ეს სიტყვა¹⁾:

სიტყვა

თქმული ქუთაისის შეჩვიდმეტე სასულიერო სასწავლებლის მახრას დეპუტატების კრებასისადმი.

მამანო და ძმანო!

თუმცა მე არა ერთ გზის მქონდა თქვენთან უბნობა მასზედა, თუ რა ზომად საჭირო არის ჩვენი ეპარხიისათვის სემინარიის დამყარება ქუთაისში, და თვით ამ თვეში გნახეთ თქვენ თავ-თავის საბლაღოჩინებში, სადაცა ჩვეულებრივ მყავდა შეკრებილნი ყოველნი სამღვდლო და საეკლესიო მსახურნი და სხვათა

¹⁾ სასურველია, მოწახსოვრე პირებმა, მაშინდელმა დეპუტატებმა, გვაცნობონ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მე 17—ე კრებაზე ამ კლასიკურმა სიტყვამ ჩვენი დაუფიქარი ოქროპირის—გაბრიელისამ. ამბობენ მთელი კრება ატირდაო. დიად, უცრემლოთ არ შეიძლება ასეთი დრმა და გულწრფელი სიტყვის მოსმენა! ვაჟა ჩვენს ოქროპირს! ვაჟა მამა მელიტონსაც ასეთი დიდი საქმის დაწყებისთვის! რედ.

შორის ამ საგანზედა მქონდა თქვენთან ბაასი, გარნა ახლაც საჭიროდა ვრაცხ უკანასკნელად გითხრა თქვენ რაოდენიმე სიტყვა ამ საგანზედ.

საჭირო არ არის გავაგძელო სიტყვა იმაზედ „თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლას, განათლებას ადამიანის წარმართებისა და ბედნიერებისათვის. ვინ არ იცის ესლა ეს ქეშმარიტება! თქვენც, დიდიხანია კარგათ გრძნობთ ამ ქეშმარიტებას და ყოველთვის მსურველი იყავით რომ სემინარია ყოფილიყო აქა, რომელშიდაც თქვენ შეილებს შეეძლოთ განათლების მიღება. ეს დაამტკიცეთ მით, რომ თუთხმეტი წელიწადია, რაც შემოგაქვს სემინარიის დასამყარებლად შეძლებისაგვართ ფულები, რომელიც იგზავნება პრიკაზში. მიწერ მოწერა სემინარიის დამყარებისათვის იმავე დღიდან იყო გამართული ჩემგნით და თუმცა სამწუხაროდ და განსაცვიფრებლად ჩემდა აწ გარდაცვალებული ექსარხოსი არხიეპისკოპოსი ევსევი ამტკიცებდა და სწერდა სინოდში, არ არის საჭირო სემინარია ქუთაისში, და არც იქაურ სამღვდლოებას სურსო, თვით თქვენი არძისაგან, რომელიც ორი წელიწადია მას უკან გაგზავნეთ სინოდში და ითხოვეთ შემწეობა სემინარიის დამყარებისათვის, იცნა უწმინდესმა სინოდმა, რა ზომად გსურთ თქვენ სემინარიის დამყარება და ბრძანა, რომ მოეძებნოთ და ენახოთ რამე წყარო ამ საქმის შესრულებისათვის.

არ შემოძლია მე, აქ არ გამოვტყვა ჩემი უკიდურესი განკვირება მას ზედა, რომ ესლაც არიან, ზოგიერთნი პირნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ არ არის საჭირო აქ სემინარია, საკმაო არისო მხარისათვის ერთი სემინარია თბილისშიო. ჩვენ, ესე იგი იმერეთში ოდიშში, გურიაში, აფხაზეთში, სვანეთში ვიქნებით ნახევარ მილიონზე მეტი სული მართლმადიდებელი ქრისტიანე, გარდა ამისა ხსენებულ ქვეყნებში ათასამდი მღვდლები არის, ორი ათასამდი მთავარდიაკვნები და მედავითნეები. სამ დაბალ სასულიერო სასწავლებლებში, გარდა ერისკაცების შეილებისა სწავლობენ ათას ორასამდინ შეგირდები და ყოველ წელიწადს ასრულებენ ას ოცამდი. სად წავიდეს და რა

ქნას ამოდენმა სულმა უმაღლესისა სწავლისა მწყურვალემან? თბილისის სემინარიაში ძლივს მიიღბენ 20—25-ს ყმაწვილს და ამათგანიცა ნახევარიც ვერ დაასრულებს კურსს ან სწავლების გამო, რადგანაც თბილისის ჰავა მიიმეა და უთვისო აქაურებთათვის, სხვანი კი უნდა წავიდნენ სოფლებში და დაივიწყონ ისიც, რაც ისწავლეს დაბალ სასწავლებლებში.— მაღლობა ღმერთს, რომ აწინდელი მაღლად პატივცემული და სასულიერო განათლების და წარმატების მომურნე ექსარხოის საქართველოისა არ ეკუთვნის იმ პირთა, რომელნიც ამ ახირებულ ჰაზრს ამტკიცებენ; არა ერთ გზის უთქვამს ჩემთან სემინარია საკირო არისო ქუთაისშიო.

აბა ამაზე აღარ არის საკმრო უბნობის გაგრძელება: დამტკიცებულია, გარდაწყვეტილი და ბრძანებული უმაღლესი მთავრობასაგან, რომ სემინარია უნდა იქმნეს ქუთაისში. საქმე იმაშია, რა წყარო გვაქვს ამ საქმისათვის? საიდან მოგვძებნოთ ეგოდენი დიდი საშუალება, რომ ეყოს ამ საქმეს? მაღლობა ღმერთს გამოჩნდა ეხლა ერთი საშუალება. მე მწამს, რომ ღვთის განგებით იყო ესა, რომ სწორეთ ეხლა გამოგივიდა თქვენ შემწეობა ხაზინიდან, ე. ი. მცირე რამე ჯამაგირი, რომელიც საქართველოში სამღვდლოებს ათი წელიწადია ეძლევა.— უწმინდესი სინოდიც ეხლა კითხულობს რას შესწირავთ თქვენ სემინარიის დასამყარებლად და თავის მხრითაც უარს არ გეუბნება შემწეობის მოცემისათვის. რადგანაც მიჩვეული არა ხართ ჯერეთ ჯამაგირის მიღებაზე და ხარჯვაზე, ვერც კი შეიტყობთ გაქირვებას, რაც გინდა დიდძალი ფული შესწიროთ სემინარიასა ახალ გამოსულ ჯამაგირიდან თქვენი ჯიბიდან; თქვენი ხელიდან არაფერს გთხოვ. იმას გთხოვ, რაც არა გაქვს ჯერეთ. რა გაუქირდება კაცს შესწიროს კეთილ საქმისათვის ის, რაც არა აქვს ჯერ, და არ ჰქონია. შენ მეტყვი მე ღარიბი ვარო, ჩემთვის მინდა მოვიხმარო. ეგ მართალია, მაგრამ შეგიძლიანახევარი შენთვის მოიხმარო, ნახევარი რამდენიმე წლის განმავლობაში შესწირო ამ დიდ და საუკუნო საქმისათვის; შენც შეგიმსუბუქდება ცხოვრება და დიდი საუკუნო

საქმეც გაკეთდება.— უმეტესი თქვენგანი ხშირად საქმელსაც იკლებს და სასმელსაც და ანაფორას არ შეიკრავს:— მე რომ მოვკვდიო, შეილებს ლუკმა პური აღარ დარჩებაო, — სახლს იშენებს მიწა მამულს იყიდის, რომ რამე სამკვიდრო დარჩეს მის შეილებს. დარწმუნებული იყავით, თუ სემინარია დაამყარეთ, იმაზე უმჯობესი სამკვიდრო თქვენთა შეილთა და შეილი-შეილთათვის არა შეიძლება რა.— თუ სემინარია დაასრულა შენმა, შეილმა ლუკმა პურს ყოველთვინ იშოვნის.

მე ყოველთვინ მეჯავრება, როდესაც კაცი თავის თავს იქებს, მაგრამ ნუ დამზრახავთ, რომ დასასრულ ჩემი სიტყვისა რაოდენიმე სიტყვა ვსთქვა ჩემ თავზე.— ოცი წელიწადი მეტია, რაც შემოვედი ამ ეპარქიაში ეპისკოპოსად. გაიხსოვნეთ, რა იყავით მაშინ და რა ხართ ეხლა. თამამად ვიტყვი: თქვენ იყავით მაშინ იგივე გლეხები, ბეგარში მყოფნი იმ განსხვავებით, რომ ერის კაცების გლეხებს თითო ბატონი ყავდა თქვენ კი სამ-სამი ბატონი გყავდათ თითოულს. სამს ბატონს აძლევდით ბეგარას: ბლალაჩინს კანცელარიას და ეპისკოპოსს. არა ვგონებ, რომ რომელიმე გლეხი იმ დროში თქვენზე მომეტებულ გადასახადს იხდიდა. ამის ყოვლისაგან გაგათავისუფლეთ, ამდენი და ამოდენი უღელი ჩამოგხადეთ თქვენ კისრებისაგან. მე რომ არავისგან საჩუქარი არ მიმიღია არაოდეს, ეს თქვენ კარგათ იცით, კანცელარიაც და ბლალაჩინებიც დარიგებული და გაფრთხილებული მყავს, რომ არა ვინ შეგაწუხოს და თუ ვინმე მათგანი იღებს თქვენგან, ანუ აუღია ქრთამი, გააცხადეთ, დაამტკიცეთ და იმავე მინუტში დავითხოვ სამსახურიდან.— ოცი წლის წინეთ გულსაკიდი ოქროს ჯვარი ორ-სამ პირს ქონდა მთელს აქაურ ეპარხიაში, ახლა ორმოცდაც კი ექმნება, სხვა დაბალ ჯილდოებს ვინდა დათვლის. აქ არც კი ვინ იცოდა, რომ ორმოცდა ათი წლის უბიწო სამსახურისათვის მიენიჭება მღვდელს ვლადიმირის ჯვარი, რომელიც საშვილიშვილოდ აზნაურობის ხარისხს მისცემს. არიან ზოგიერთნი უსწავლელნი მღვდლის შვილის-შვილები, რომლებთაც მათრახებით გამოდენდენ სამუშაოში, ეხლა კი აზნაურები შეიქმნენ.— თვით ის ჯამაგირი, რომლიდანაც შეგიძლიათ

თქვენ სემინარია დაამყაროთ, მხოლოდ მე გაგირიგეთ თქვენ.—როგორც უწინ გითხარი, საქართველოს სამღვდლოებს ათი წელიწადია გამოუვიდა ის ჯამაგირი, თქვენ კი არავის ახსოვდით. მასუკან რამდენი შრომა მივიღე რამდენჯერ შევაწუხე ნამესტნიკიდან დაწყებული დიდ—დიდი ჩინოვნიკები და ძლივ გაგირიგეთ თქვენ ჯამაგირი. ეგოდენი თქვენ წარმატების და ბედნიერების მეცადინობისათვის ახლა მეც დამაჯილდოვეთ, მადლობა გადისადეთ ჩემთან, აასრულეთ ჩემი რჩევა და მით მეც გამახარეთ.

განა საკუთრად ჩემთვის რა საჭიროა სემინარია? მაგრამ ისე მივიღებ ამას, ვითომც ჩემთვის გეჩუქებიოსთის ფული. და თუ სულმოკლე შეიქენით კარგად არ აასრულეთ ჩემი რჩევა, მეც გული გამიგრძობდება, ისე ერთგულად აღარ ვიქმნები მეცადინე თქვენზედ, როგორც აქამამდე ვიყავი¹⁾.

პრ. ალექსანდრე ხახანაშვილის ვადაცკალების გამო.

კვირას 5 აგვისტოს ქ. ოზურგეთის ახალგაზღვრებს წირვა და პანაშვიდი გადაუხდია განსვენებულ ა. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. მწირველი ყოფილა ეპ. ლეონიდე, რომელსაც შემდეგი მადლიანი სიტყვა წარმოუთქვამს:

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

გულ-დამწყვეტი, გამამწარებელი და სატირალი გარემოების გამო მოვსულვართ, ძვირფასო მსმენელნო, ამ წმინდა ტაძარში. ჩამოსწყდა სათაყვანო სამუშაოს ტკბილ ძუძუს მისი მოსიყვარული, ერთგული, გაგებელი, ნათელი აზრებით აღჭურვილი და კეთილი მისწრაფებით გამსჭვალული სახელოვანი შვილი პროფესორი ალექსანდრე სოლომონისძე ხახანაშვილი. საქართველოს კეთილდღეობისათვის თავგადებულ ისედაც მკირე რიცხოვან მუშაკთა წრეს კიდევ მოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი,

¹⁾ ამის შემდეგ რა სახელი უნდა უწოდოთ მას ვინც ქუთაისის სემინარია—ეს გაბრიელის ღვიძლი შვილი, დაგვიკარგა!

რედ.

კიდევ დავკარგეთ იშვიათი მამულიშვილი, ჩვენზე გამარჯვებულმა სიკვდილმა შუაზე გადუტეხა ღვთის მადლით ცხებული კალამი თვალსაჩინო მკვლევარს ალექსანდრე ხახანაშვილს; ამ შეუბრალებელმა ბოროტმა ძალამ სამუდამოდ დააღუპა და მიწად აქცია ის კაცი, რომელიც თავისიანებს რომ გვათვითცნობიერებდა, გონებით რომ გვზრდიდა და გვათვითარებდა ქართველი ერის სულიერ სალონში მეცნიერული ჩახედებით, იმავე დროს უცხოელებს აცნობდა, რომ ერი, რომელმაც შექმნა ამ გვარი სულიერი სიმდიდრე, დიდაც ღირსია არსებობისა, ყველასგან პატივისცემისა და ადამიანურად მოპყრობისა.

არ მეგულება მწიგნობარი ქართველი, რომ არ იცნობდეს ბ. ხახანაშვილის ნაწერებს. არც დროა და არ ალაგი ნებას არ გვაძლევს განსვენებულის ქმნილებათა ჩამოთვლა-დახასიათებისას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომი ხახანაშვილისა არის მისი რამდენიმე სქელ ტომებად დასტამბული ისტორია ქართული სიტყვიერებისა. ამ ჩინებულ ნაშრომს რომ ვხედავთ და თან ვითვალისწინებთ, რომ მათი დამწერი ჯერ კიდევ შუა კაცობას არ იყო გაცილებული, არ იყო დატვირთული მრავალწლოვანებით, მაშასადამე ჯერ კიდევ მრავალი სიკეთის მოტანა შეეძლო მას ქვეყნისათვის, გლოვა გვიათკვლდება და ბედისადმი უმადურობა გვიცხოველდება, რომ იგი მოგვდგომია და გამალებული გვგლეჯავს ხელიდან ერთი მეორეზე საუკეთესო პირებს. შევმა მიწამ, რომელიც მიეყრება ხახანაშვილის გაცივებულ გვამს, უნდა საბოლოოდ დამარხოს და დაიყოლიოს თავის ქვეშ ის დიდი იმედები, რომლებსაც დაბეჯითებით გამოველოდით მიცვალებულისაგან და აი ამ მოლოდინთა ხელალებით გაქარწყლებაა, რომ ასე მწარედ გვაგმინებს და გვატირებს უდროოდ დამწერი ალექსანდრეს გვამის გარშემო.

გლოვა-ტირლით ჩვენ ვისუბუქებთ საკუთარი გულის წუხილს, ვინაიდან ცრემლი მწუხარების ლოდის გადაგორებაა გულიდან; ტაძარებში შეგროვება და შესანდობარ წირვა-პანა-

შვიდების გადახდა სარწმუნოებრივი აუცილებელი მოვალეობის შესრულებაა კირისუფლების მხრივ მიცვალებულთადმი. მაგრამ ყველა ეს არ არის სრული გამოხატულება მიცვალებულთადმი ყოველმხრივი პატივისცემისა, მათი ხსოვნის ღირსეული სიყვარულისა, მათგან გაწეული ღვაწლის საკმაო დაფასებისა და მათ წინაშე მოვალეობის საფასურით მოხდისა. მოკირნახულე მიცვალებულთაგან ცოცხლებს ვალად გვრჩება მათი ანდერძის, მათი სურვილების, მათ გულ-ნადებთა განხორციელება, შესრულება, საქმედ ქცევა, სინამდვილედ გარდაქმნა. ამიტომაც, რომ შეგნებული საზოგადოება პატივსაღები პირების გარდაცვალების გამო, შემდეგ წრფელი გლოვა-ტირილისა და სარწმუნოებრივი მოვალეობის შესრულებისა, ძვირფასი მიცვალებულების ხსოვნის უკვდავ-საყოფელად აარსებს ხოლმე მათ სახელობაზე ან სასწავლებელს, ან სტიპენდიებს, ან სამკითხველოს, ან სხვა რომელიმე სამადლო და საკულტურო დაწესებულებას, იმისდა მიხედვით, თუ რას ემსახურებოდა მიცვალებული თავის სიცოცხლეში, რა იზიდავდა მის გულსა და გონებას, რის განხორციელებას ავალებდა იგი ჩამომავლობას.

ჩვენ გვმართებს მოქილაქობრივი მოვალეობის გადახდა უდროოდ დაკარგული დიდებული მამულიშვილის წინაშე და რომელი საქმის განხორციელებით შეგვიძლიან ამ ვალის მოხდა? სასწავლებლისთვის მას თითონ შეუწირავს ქ. გორში ძვირფასად ღირებული სახლი საუკეთესო ქუჩაზე და მაშასადამე ამ მხრივ ჩვენ ახალს ველარაფერს მიუძღენით მიცვალებულის ხსოვნას. ექვს გარეშეა, რომ ნაწილი იმ 45 ათასი მანეთისა, რომელიც გარდაცვალებულს უანდერძნია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისთვის, მოხმარდება სტიპენდიებს; ხელქმნილი ძველით გამშვენება მისი სამარესი შელახვა იქნება მისი მუდმივი ძღვევამოსილებისა და თავდადებულობისა, მაშ რომელი კონკრეტული საქმის განხორციელებით შეგვიძლიან ცოტათი მაინც ვასიამოვნოთ დიდათ დამაშვრალი პროფესორის სულს? დღევანდელ ჩვენ ყოფა-მდგომარეობაში რო-

მელი დაწესებულობის დაკავშირება უფრო სასურველი და თანაც უფრო ხელმისაწვდომია ალექსანდრე ხახანაშვილის ხსოვნასთან? სხვისა არ ვიცი და მე კი დასმულ კითხვაზე სრულებით გარკვეულ და ბეჯით პასუხს ვპოვებ განსვენებულის იმ მოკლე წერილში, რომელიც დასტამბულია ჟურნალ „განათლების“ ამ წლის პირველ წიგნში. ეს წერილი ბ. ხახანაშვილის საჯარო აღსარება, საქვეყნო ანდერძია; იგი დიდად საყურადღებო და უსათუოდ სახეში მისაღებია მიცვალებულის გულწრფელ პატივისცემელთათვის. აი რას გვემუდარება და რის ხსოვნას გვავალებს სამშობლოს სიკეთისათვის ზვარაკად შეწირული საყვარელი მეცნიერი ხახანაშვილი:

გულ-ახდელი აღსარება ყველას და ყველაფერში ვერ მოუხერხებია. მეც ამ რიცხვში ვარ ჩასათვლელი, მხოლოდ ერთი პირობით: რაც ქვემოდ მოგეხსენებათ, ჩემი წრფელი რწმენაა და მისი ექვის თვლით განხილვა შეუწყნარებელ ცილის წამებათ გამოვა...

„მიყვარს ქართული ეკლესია, მიყვარს მისი გარეგანი გეგმაც, იქ მწყობრად მგალობელთა გუნდი და ტკბილ ხმაზე წაკითხული სამღვთო წერილი. მიყვარს ჯერ იმიტომ, რომ მხოლოდ აქ მესმის ღიადი და გამოჩენილი მამა-პაპური ენა, რომელზედაც ღვთისადმი ლოცვას ალაველენდნენ ჩვენი წინაპარნი, აღმაშენებელნი მცხეთის, სიონის და გელათის ტაძრებისა. სასოების გარდა, რომელიც ავსებს ჩემ დაწყლულულ გულს, ქართული სამღვთო წერილი მიღვიძებს ჩაფერვლილ პატრიოტულ სიამაყესაც. როცა ვისმენ სამოციქულოს კითხვას, მაშინ მაგონდება მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც თან დაჰქონდა იგი მოგზაურობის და ომიანობის დროსაც, არ ვაატარებდა არც ერთ დღეს, რომ არ წაეკითხა მოციქულთა საქმენი. ჩემი ოცნება აცოცხლებს მაშინ ათასი წლის წარსულ სურათს, ვხედავ ახოვან და სახელოვან მეფეს ხელნაწერ სამოციქულოს კითხვით აღტაცებულს და მასთან ძველ საქართველოს, მორწმუნეს და მტკიცეს ეკლესიის და მამულის დაცვის საქმეში. როცა დაუჯ-

დომელი გაისმის ღეთის-შობლის ხატის წინა-
შე და სულს ეწვეთება მალამოსავით აქამონა-
კითხი სიტყვები, მაშინ ცოცხლად ვხედავ თვალ-
ცრემლიან მუხე თამარს, რომელიც მუხლმო-
დრეკით, ჩაპკვირვებია ლოცვანს და შეპვედრის
უფალს საქართველოს დიდებას და ბედნიერე-
ბას. როდესაც ჩემი ყური გაიგონებს ნახად დაწ-
ყობილ „მამაო ჩვენს“, მაშინ გამომეხატება
მეფე ირაკლი კრწანისის ველზე გულ-მხურვა-
ლედ მლოცავი, რათა ააცდინოს მამულს კარ-
ზე მომდგარი საშინელი განსაცდელი. მესმის
„ქრისტე აღსდგა“ და წამსვე ვხედავ დავით
გარეჯის მონასტრის ბერებს, რომელთაც ზედ
აღდგომა ღამეს, ლიტანიობას, დაეცა სპარსე-
თის შემოსეული ჯარი და მათი უმანკო სისხ-
ლით შეღება სავანის ზღუდენი“.

„წყნარი და საიდუმლოებით მოცული გა-
ლობა, „რომელი ქერუბიმთანი“ უცებ მაგონ-
ებს იმ მოსწავლე ბავშვებს, რომელნიც საეკ-
ლესიო შკოლაში ანგელოზის ხმაზე აღუღუნებ-
დნენ ამ ლოცვას, განსწავლულს წმ. ექვთიმეს
მიერ. ვხედავ ჩამწკრივებულ ბიჭებს, ცეცხლე-
ბრივ ანთებული თვალებით, ვხედავ მათ დედ-
მამას ხელ-აპკრობით შემავედრებულს, რათა გა-
უზარდოს უფალმა შვილი მამულის მცველად
და კერის სანთლად. სმენად ვარ გადაქცეული,
როცა დიდებულად კითხულობენ სახარებას,
მკაფიო ენით გადმოთარგმნის დაულაღვი მუ-
შაკის გიორგი მთა-წმინდელის ღვაწლით.
ესტკებები კითხვის ძველებური კილოთი, აღტა-
ცებაში მოვდივარ სამღვთო წერილის ღრმა
ცოდნით და დაუშრეტელი სიყვარულით, რო-
მელიც ერთად ჩააქსოვეს ღირსმა ქართველმა
მთარგმნელებმა. სწორეთ აი მაშინ ვგრძნობ სი-
ამაყეს, როდესაც ვუკვირდები ამათ შეუღარე-
ბელ შრომას და ვგრძნობ, რა ნიჭით, შრო-
მის მოყვარეობით და შეგნებით ათასი წლის
წინათ გადმოიღეს ქართულიად ეკლესიის საჭი-
რო და აუცილებელი წიგნები. ეს სამღვთო წე-
რილი, რომელიც გაისმოდა ათასი წლის წი-
ნათ ქართველი ერის ბაგეთაგან, შეგვჩა აქამ-
დის და მეოცე საუკუნის შორწმუნე ხდება და-
ვით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ირაკლის

თანამედროვედ: იგივე ლოცვა იმავე ენით, იგი-
ვე გალობა იმავე ხმაზე, იგივე სამოციქულო
და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქართ-
ველ საზოგადოებასთან და ჰყოფს განუწყვეტ-
ლად წარმოშობას და განვითარებას წარსულს
და აწმყო საუკუნოებისას. ამიტომ მიყვარს
ქართული ეკლესია, ამიტომ თავგამოდებით
ღირსია დავიცვათ ძველად ნათარგმნი სიღვთო
წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მო-
ისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის.“

მოყვანილ წერილში გატარებული შეხე-
დულობით რომ ვიხელმძღვანელოთ, თავის-თა-
ვად დავრწმუნდებით, რომ ისე მჭიდროდ, იმ-
დენად პირდაპირ და მახლობლად არავინ არ
არის ქართველთა შორის გადაბმულ-დაკავში-
რებული თავის სახელოვან მამა-პაპასთან, რო-
გორც გურულები. ჯერ-ჯერობით არც უცხოე-
თიდან მონაბერს ვითომდა კულტურულ გან-
ვითარებას და არც სხვა რამ გავლენას არ გა-
უწყვეტია სრულებით ის ცოცხალი ძარღვი,
რომლითაც დღევანდელი გურულის სულიერი
ცხოვრება გადაბმულია მეცხრე საუკუნის ქარ-
თველების ცხოვრებასთან. მე მოგახსენებთ ეკ-
ლესიური გალობის შესახებ. ჩვენი სამშობლოს
არც ერთ კუთხეში არსად არ შენახულა ისე
ხელუხლებლად, შეუბღალავად, მთლიანათ, სავ-
სებით და დიდებულათ დიდბუნებოვანი წინა-
პრებისაგან შექმნილი დიდებული საეკლესიო
გალობა, როგორც აქ, გურიისში. გურიის ტაძ-
რებში ჩვენი ყური დღესაც იმ ციური ჰანგე-
ბის გალობით სტკება, რომელიც დაიმუშავა
ჩვენი ერის შემოქმედებითა ძალამ ჯერ ისევ
მეცხრე საუკუნეში. ამ გალობის ძველად ქ. შ.
წ. გ. ს. თბილისის მუზეუმში ალაგია მეცხრე
საუკუნეში ტყავზე დაწერილი დიდრონი ფო-
ლიანტები, შემკობილი საგალობლო ნიშნე-
ბით, რომელთა მნიშვნელობა, ჩვენდა სამწუხა-
როდ, ჯერ ვერ შეგვიგნია და ვერ გავგვიჩე-
ვია, რომლებიც ყოველ განათლებულ ქართ-
ველს გულს უტოკებენ და ყურში ჩასძახიან:
„ეცადე, ოფლი დაღვარე, ყოველი ღონისძიე-
ბა იხმარე, მეცნიერულად ჩახედე ქართულ გა-
ლობას გულში, შეიგნე ჩვენი მნიშვნელობა,

შეუცდომელად წაიკითხე ძველი საგალობლების ფოლიანტები და ამითი გაუთხრი შენ მშობელ ერს იმ რუსხმულს, რომელიც შქიდროდ შეაერთებს მას სულით დიდებულ წინაპრებთან და შეუძლებელად გახდის მის გაქნა-გათქვეფას უცხო ერთა მძლავრ ტალღებშია“.

მაშ თუ კი წრფელი და გულითაღია განსვენებული ხახანაშვილისადმი ჩვენი სიყვარული და პატივისცემა, ვისმინოთ მისი უკანასკნელი დარიგება, შეუსრულოთ ანდერძი და აქ, გურიაში, სადაც ჯერ კიდევ ანკარა წყაროდ მოსჩქეფს ქართული ვალობა, გურიაში, რომელიც ნაჩვევია ყოველგვარ სასიკეთო დაწყებებში მეთაურობას და პირველად გამოხმაურებას, ისეთი საძირკველი ჩაუდგათ ხახანაშვილისაგან დიდ მნიშვნელოვან საგნად ცნობილ საეკლესიო ვალობას, როგორც შეჰფერის მიცვალებულის ღირსეულ მამულიშვილობას. სიყვარულმა დაბრკოლება არ იცის და, თუ გულით მოვინდომებთ, ყველაფერს განვახორციელებთ, სულ ადვილათ აუნთებთ დიდებულ მიცვალებულს გაუქრობელ კანდელს, რომლის მკრთალი შუქი გაუწყვეტელი გულთბილი მოძღვრება იქნება მისი, რომ არასოდეს „ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპრ-შორის“.

იყავნ, იყავნ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

X სიტყვა,

თქმული დედლის ე. ჩხაიძის მიერ ლახნხუთის წმ. კიორგის ეკლესიაში ჰანაშვიდზე აღექსანდრე ხახანაშვილის დასასაუფლავეების დღეს.

ჯერ კიდევ არ წარეცხილა სამშობლოს მიწის პირიდან ვერაგულად დანთხეული სისხლი ილიასი. ჯერ კიდევ არ გადაძრობია სამშობლოს ცას მწუხარების ზეწარი ამ ეროვნული უბედურობის გამო. ჯერ არ გაუძვრია ქართველ ერს მგლოვიარების ძაძა მის საუკეთესო

შვილთა სამშობლოს მოამაგე ჭირისუფალთა მთელი რიგის დაკარგვის გამო. არ გასულა მას შემდეგ ორი თვეც, რაც მე აქედამ, ამ წმინდა ადგილიდამ, მოგიწოდეთ თქვენ საერთო ლოცვისთვის ჩვენი ცნობილი და დაუვიწყარი პედაგოგის და მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად, რომლის ახალი საფლავი გვიღალადებს დანაკარგის სიმძიმესა და სიმწვავეზე. ჯერ კიდევ დროთა განმავლობას ცოტათი მაინც ვერ გაუნელებია ქართველის გულში მწუხარება, გამოწვეული იმის გადაღებით—და დღეს კი პირღია საფლავი მიიღებს და საუკუნოდ დაფარავს ჩვენგან ერთს საუკეთესო მამულიშვილს, რომლის სიცოცხლე, თუმცა იმდენათ ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ მისი სიყვარული სამშობლოსადმი იმდენათ ცხოველი იყო და შრომა ნაყოფიერი, რომ იმას თამამად შეუძლია დაიჭიროს საპატიო ადგილი იმ ქართველ შესანიშნავ მოღვაწეთა წრეში, რომელიც ასე გამეჩხრდა ამ უკანასკნელ წლებში. მე ვამბობ ახლად გარდაცვლებულ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილზე. თუმცა განსვენებული სამშობლოს გარეთ ცხოვრობდა, მაგრამ მისი სიყვარული სამშობლოსადმი მით უფრო ძლიერი ცხოველი და უანგარო იყო. ეს სიყვარული მან გამოხატა არა მარტო ლითონი სიტყვებით, არამედ დიდათ ნაყოფიერი და სასარგებლო საქმეებით. ჩვენი წარსული ცხოვრების ისტორიის კვლევა-ძიებით, აწყო მდგომარეობის გამორკვევით; ჩვენი ძველი და ახალი ლიტერატურის გამოკვლევით მან საფუძვლიანათ გააცნო ჩვენი ვინაობა არა მარტო რუსეთს, არამედ განათლებულ ევროპასაც, დაანახა ნათლად, თუ ვინ ვიყავით ჩვენ წარსულში და ვინ ვართ ეხლა! ძლიერ დიდი სამსახურია ისეთ მდგომარეობაში მყოფ ერისათვის, როგორშიდაც ჩვენ ვართ. კარგათ იცოდა მან, რომ მის სამშობლოსათვის მარტო სხვისი ვაცნობა არ კმაროდა; საჭირო იყო ზოგიერთ შემთხვევაში მისი ინტერესების დაცვა, დაცვა ავტორიტეტისანი, საბუთიანი, ბეჯითი. ეს მოვალეობა სამშობლოს წინაშე განსვენებულმა ნათლად შეასრულა. განსაკუთრებით ვერ დაივიწყ

ყვებს მის ღვაწლს ჩვენი დაჩაგრული ეკლესია. იმ დროს, როდესაც ჩვენ ახალგაზრდა მოღვაწე ინტელიგენტებს საჭიროთ კი არა სასირცხლოთაც მიაჩნიათ სამშობლო ეკლესიაზე ლაპარაკი და ხმის ამოდება, განსვენებული თავგამოდებით, მედგრათ და საქმის დიდი ცოდნით იცავდა მის ინტერესებს, სადაც საჭირო იყო. გარდა ამისა ერთიც არა ქართველური და მეტათ სიმპატიური მისი ხასიათის დამაშვენებელი და შემამკობელი და ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი დაგვიტოვა განსვენებულმა, რითაც თავის ხსოვნაც უფრო სამარადისო სადიდებლად გახადა შოამამავლობაში. როგორც აღმოჩნდა, განსვენებულს თავის, შედარებით მცირე ჯამაგირიდან, ხელმოშობიანობით, ანგარიშისანი ცხოვრებით გადაურჩენია რამდენიმე ათი ათასი მანეთი, რომლის უმეტესი ნაწილი დაუტოვა განსვენებულმა ქართველთა შორის წ. კ. გ. ს. საქველმოქმედო საქმეების გასაკეთებლად. ამ საქციელით ერთი მხრით, როგორც ვთქვი, დაგვიტოვა მან მისაბაძი მაგალითი, თუ როგორ უნდა გვახსოვდეს ჩვენი უნცროსი ძმები, ხოლო მეორე მხრით—ის ამით უსაყვედურებს ყველა იმ ქართველებს, ვინც არამც თუ თავის კეთილშენაძენს დად ქონებას, არამედ აუარებელ მამაბაპეულ სიმდიდრე-ქონებას არ ზოგავს, უნაყოფოდ ფლანგავს და ანგრევს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ქართველ ერს, უსათუოთ დაობლებულს ამ ბოლო დროს საუკეთესო მამულიშვილთა და ქვეყნის ბატონ-ჭირისუფალთა დაკარგვით, იმედის სხივი ცოტათი მაინც ასულდგმულდება, რადგანაც მოეპოვებოდა ისეთი მოღვაწე, როგორიც იყო ალექსანდრე, ეხლა კი ამ იმედის ძაფიც გაწყდა და ობლობის მწუხარებაც გამწვავდა და გაღრმავდა. ამიტომაცაა, რომ დღეს ჩვენი ერი შეერთებულია ამ საერთო მწუხარებასა და უბედურებაში, გლოვობს და სტირის თავის აუნაზღაურებელ დანაკლისს. მოგიწოდებთ თქვენც, თქვენი მწუხარება და კვითინი შეუერთოთ მთელი ქართველი ხალხის მწუხარებას და გლოვას. თქვენი ლოცვა—იმ საერთო ლოცვას, რომელიც დღეს აღივლინება საქართველოს ყველა კუთხეში.

მღვ. ე. ჩხაიძე.

აღ. ხახანაშვილის ანდერძი.

„1912 წ. 25 ივლისს, მე, ამისა ქვემოთ ხელის მომწერელი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრეზიდიენტი—დოცენტი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი, სრულიად საღს გონებასა და მტკიცე მესხიერებაში მყოფი, მოსალოდნელ სიკვდილის გამო, ანდერძს ვტოვებ ჩემის ქონების თაობაზე: ჩემს დას დარია სოლომონის ასულს გვარამაძისას უტოვებ სამას თუმანს, ჩემს ბიძაშვილს, მღვდელს თეოფილაქტე ლაფერაშვილს—სამას თუმანს, ტატიანა კაზაკოვისას—სამას თუმანს, ექიმს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნემსაძეს—ას თუმანს, ექიმს გაბრიელ გრიგორის ძე ლამბარაშვილს—ორმოცდაათ თუმანს, ივანე სვიმონის ძე მაისურაძეს—ას თუმანს, მოწყალების დასანისა დიმიტრის ასულს პუბარინას—ოც თუმანს, მოსკოვის ქართველთა მეცნიერებისა და ხელოვნების საზოგადოებას ას თუმანს, სრული ჩემი დანარჩენი მოძრავი ქონება, სადაც უნდა იყოს იგი და რასაც უნდა შეიცავდეს, მიანდერძებია ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის, გარდა ჩემის ბიბლიოთეკისა, რომელიც იმყოფება მოსკოვში და რომელსაც ანდერძად ვუტოვებ აღმოსავლეთის ენათა ლაზარევის ინსტიტუტს მოსკოვში. სამოსახლო მიწა, შენობები, რომელიც ქალაქ გორში (ტფ. გუბ.) მდებარეობს, მიანდერძებია გორის ქალაქის თვითმართველობისათვის, რათა იქ გაიხსნას ქართული სკოლა უსასყიდლო სწავლებით.

როგორც შევტყვევებ, ნაანდერძევი თანხა 55,000 მანეთამდებია. აქედან 12,730 მან. განსვენებულმა უანდერძა სხვადასხვა პირებს და დაწესებულებათ, წერაკითხვის საზოგადოებას კი დანარჩენი.

საკითხი სულის უკვდა- ვებაზე.

(გაგრძელება¹⁾).

ყველა ზემო ნათქვამით ჩვენ მანდაშინც არ ვცდილობთ დაფაქტიკოთ, რომ სული უკვდავია, ჩვენ გვსურდა მხოლოდ იმის ჩვენება, რომ მეცნიერებას არ შეუძლია წარმოადგინოს ისეთი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც გვეთითებდნენ ამნაირ უკვდავების შეუძლებლობაზე. ჩვენ გამოგვტყდებით, რომ სულის უკვდავება ჯერ-ჯერობით სრულიად დაუმტკიცებელი თეორემაა, მაგრამ გვერდობით რა ყოველ ჩვენ მიერ ზემო ნათქვამზე, ჩვენ ვცუდებით ეხლა იმის ჩვენებას, რომ ეს უკვდავება კაცობრიობის აუცილებელ წინაგანზრახულ პოსტულატად უნდა იყოს.

თუ მეცნიერული პსიხოლოგია გვასწავლის ჩვენ, რომ შესაძლებელია სული უკვდავი იყოს, რაციონალურ ტელეოლოგიას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ სული უსათუოდ უკვდავია. მე ვამბობ რაციონალური ტელეოლოგია. ეს ტერმინი რამოდენიმედ ახსნას ითხოვს. რაციონალური ტელეოლოგია ისეთი სწავლაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველივე რაც კი ქვეყნად არსებობს თვისი მოქმედებით კეთილ მიზნისადმი უნდა იყოს მიმართული. ეს თეორია არ ურიგდება იმ მტკნებას, რომელიც ასწავლის, რომ ბოროტება უმადლესი სიკეთეა, რომ კაცობრიობის აღზრდისათვის ის აუცილებელი პედაგოგიური საშუალებაა. ცუდია ის პედაგოგია, რომელიც ასწავლის, რომ ადამიანის აღსაზრდელად მხოლოდ წკებლაა საჭირო: ადამიანის აღზრდა ისე შეიძლება, რომ მან წვალება არ გამოსცადოს. ეხლანდელ დროში ბოროტება ქვეყნად იმიტომ კი არ არსებობს, რომ ის რაღაც მშვენიერებაა, არამედ იმიტომ რომ შეიძლება მშვენიერი იყოს მხოლოდ ის ქვეყანა, რომელშიც ადამიანის უფალნი კმნილებანი არსებობენ. ღმერთმა ყოველად სახიერმა შექმნა ასეთი ქვეყანა. მაგრამ ვინაიდან ქვეყნად

¹⁾ იხ. „ზინ. საქ.“ № 26—27.

თავისუფალნი არსებანი არსებობენ, სიკეთის კანონები შეიძლება აღსრულდეს, და შეიძლება არა. აქედან ბოროტების შესაძლებლობა გამოდის, რომელიც სინამდვილედ იქცა. რაციონალურ ტელეოლოგიას სწავს ასეთი ბოროტების ფაქტი, მაგრამ არ ურიგდება მას და კაცობრიულ მოქმედებათა რიგში, სხვათა შორის, ამ ბოროტებასთან ბრძოლა წამოაყენა. გარნა კაცობრიობის არსებობის raison d'être ამ ბრძოლაში კი არ გამოიხატება. აზრი კაცობრიობის ცხოვრებისა ამ ბოროტებასთან ბრძოლით რო გამოიხატებოდეს, მაშინ ბოროტების მოსპობით კაცობრიობაც მოისპობოდა, ვინაიდან მისი არსებობა ყოველივე აზრს დაჰკარგავდა. მაგრამ ამ შემთხვევაში კაცობრიობისათვის უკეთესი იქნებოდა ქვეყნად არც კი გაჩენილიყო, რადგანაც მაშინ ბოროტება არც კი იქნებოდა კაცობრიობაში. აი რატომ რაციონალურ ტელეოლოგიას ამ დასკვნამდე მივყევართ რომ კაცობრიობის არსებობას მაღალი, სათნო მიზანი უნდა ჰქონდეს. ამ ქვეყანაში ის ამ მიზანს ვერ აღწევს და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამის სხვა ქვეყანაში მიადწევს. მიზანი, რომლისათვისაც ადამიანი არსებობისათვის მოწოდებულია, — ქვეყნად კი არ არის, არამედ ცაზე. ამნაირად ჩვენ ორი დებულება გვაქვს: თვისი დანიშნულება კაცობრიობას ამ ქვეყანაზე არ შეუძლიან აღასრულოს, მაგრამ ის ამის აღსრულებას სხვა ქვეყანაში შესძლებს. ამ ორი ტეზისის წინააღმდეგ ბევრი აზრებია მიმართული. შევეცადოთ მათი უსაფუძვლობის გამოაშკარავებას.

ეხლანდელ დროში სწავლას მიზნის შესახებ ბევრი უარს ჰყოფენ. არ შეიძლება, ამბობენ ისინი, მსოფლიო ადამიანურ ნაწარმოებს შეეადაროთ. მართალია, ჩვენ ყველაფერს რილაცასთვის ვაკეთებთ, მაგრამ აქედან ის კი არ გამოდის, რომ მსოფლიოც რილაცასთვისაა შექმნილი. ბიოლოგია გვასწავლის ჩვენ, რომ ორგანიზმებში ყველაფერი კი არ არსებობს რომელიმე მიზნისათვის, მაგრამ რაიმე უმიზნოცაა და ამიტომ უსარგებლოა, რაიმე კი მანებელიცაა. ამბობენ, რომ ასეთი ნაწილები, რომლებიც ოდეს-

ლაც ადამიანის წინაპართათვის სისარგებლო იყვნენ. შემდეგ კი უხმარებლობისა გამო უსარგებლო და მავნებელი გახდნენ. ასეთ ბიოლოგიურ მოვლენებს აქვთ აზრი და ძალა მხოლოდ არა რაციონალურ ტელეოლოგიის მიმართ. ჩვენი ტელეოლოგიის თვალთაზრისით კი, რომელიც აღიარებს ქვეყნად აორტების არსებობის ფაქტს, ასეთ მოვლენებს არავითარი ძალა არ აქვთ: ქვეყნად რაიმე უმიზნო და მავნებლის არსებობა ჯერ კიდევ ნებას არ გვაძლევს დავასკვნათ, რომ მსოფლიოს არსებობას და, საზოგადოდ კაცობრიობისას არავითარი მიზანი არ ჰქონდეს. მეორე მხრით, იმავე ბიოლოგიის სწავლა ქვეყნად პროგრესის არსებობის შესახებ რაციონალურ ტელეოლოგიის დებულებებს ამტკიცებს. ჩვენთვის არცაა საჭირო ბიოლოგიურ ფაქტებს მიემართოთ, ჩვენ უნდა ადამიანს მიემართოთ. ადამიანის ფიზიკურ თვისებათა და სულიერ ლტოლვათა შესწავლა ჩვენ გვარწმუნებენ, რომ მის (ადამიანის) შემქნელ ხელს ის სისრულემდე მიჰყავს. უწინარეს ყოვლისა, რას ვხედავთ ჩვენ ადამიანის ფიზიკურ ბუნებაში. ველური ადამიანის ხელი გაუმჯობესებულ იარაღს ვერ აკეთებს, თუმცა მისი ხელის შემადგენლობა ისეთია, როგორც რაფაელისა, მიქელ-ანჯელოსი ანუ მოცარტისა.

მაშ აწინდელ ადამიანის ხელი მისი თანდათან განვითარების შედეგი კი არ არის; მას თავიდან ჰქონდა მიცემული ასეთი ხელი განსავითარებლად. აქედან ასეთი დესკვნა გამოდის: ადამიანს ისეთი ფიზიკური ორგანიზაცია აქვს, რომელიც შეძლებას აძლევს მას განვითარდეს სხვა და სხვა ხელოვნებაში და რომელიც ხელს უწყობს მისი სულიერი ბუნების ამაღლებას და გაკეთილშობილებას. ადამიანის სულიერ ბუნების განხილვა ჩვენ გვარწმუნებს, რომ მასში თანდაყოლილი ლტოლვაა განუსაზღვრელ სისრულემდე: ლტოლვა ქვეყნის კეთილის და მშვენიერებისადმი. ადამიანი, რომლის ცოდნის უმთავრეს ნაწილს სუბიექტიური ხასიათი აქვს და რომლის ცოდნა საზოგადოდ განსაზღვრულია, შეუჩერებელი მიილტვის თვისი ცოდნის ყოველ მხრივ განვითარებისაკენ და

მასთან არავითარი უტილიტარული მიზანი არ აქვს სახეში. შემდეგ, ადამიანი თავის თავს ვალდებულად სთვლის ზნეობრივად გაუმჯობესდეს, განდევნოს გულისაგან ყოველი ბოროტება და გაიზარდოს მასში კეთილი განზრახვა. უკანასკნელად, განვითარების ყოველივე საფეხურზე ადამიანი მიილტვის გაადიდოს მშვენიერების რაოდენობა, როგორც თვის არსებაში, ისე გარემო ქვეყანაში.

მართალია, ისტორია და აგრეთვე სინამდვილე გვაჩვენებენ, რომ ქვეყნების, კეთილის და მშვენიერებისადმი ლტოლვა ხშირად დამახინჯებულ და კარიკატურულ ხასიათს ღებულობდა და ღებულობს, მაგრამ საზოგადოდ, უეჭველია, რომ მოძრაობა სისრულისადმი სწორი გზით მიდის. არხიმედის თანამედროვეებს ნაკლები ცოდნა ჰქონდათ, ვინემ ნიუტონისა, უეჭველია ჩვენ მეტი ცოდნა გვაქვს, ვინემ უკანასკნელთა თანამედროვეებს. ასე იტყვიან მომავალში ჩვენ შესახებ. ამნაირად კაცობრიობაში სიმართლის განხორციელება უფრო მეტ და მეტ ზომას ღებულობს. ბატონყმობის დროის აზნაურები, მე ვგონებ, ზნეობრივად, ნაკლები იყვნენ, ვინემ მათი შვილები, რომელნიც, მაშინ დაიბადნენ, როცა მათგან ადამიანისადმი მეტი პატივისცემა მოითხოვებოდა. აგრეთვე მშვენიერების გრძობა თან-და-თან უფრო და უფრო ვრცელდება. პერიკლის დროის მუზიკა ძნელად თუ დააკმაყოფილებდა რომელიმე თანამედროვე ევროპელთაგანს. მთელი კაცობრიობა მიილტვის განხორციელოს ქვეყნების, სიკეთის და მშვენიერების აღება. ამ მიზნი საკენ თითოეული ადამიანიც მიილტვის. მაგრამ ხშირად ადამიანი ამ ლტოლვათა ხასიათს ბუნდოვანად განმარტავს ხოლმე. და ამიტომ მათი მისაღწევი საშუალებანიც გამოუსადეგარია. მოიგონეთ პირველ ადამიანთა პირველი შეცოდება. ისინი ქვეყნისადმი მიილტოდნენ, მაგრამ ამ მიზნის აღსასრულებლად მათ გამოუსადეგარი საშუალება ამოიჩინეს და ამიტომ ქვეყნისადმი არამც თუ მიუახლოვდნენ, არმედ კიდევაც ჩამოშორდნენ, ჩვენ ვიცით

ისეთი პსიხოლოგიური კანონი, რომ ადამიანი ხშირად მიზანს საშვალეებისაგან ვერ გაარჩევს ხოლმე. ისეთ საქმელს, რომელიც საშვალეება ჩვენი ცხოვრებისათვის, გემოთმოყვარენი ხშირად ცხოვრების მიზნად ისახავენ. ადამიანი, როგორც განებრივად განსაზღვრული არსება, ზნეობრივად თავისუფალი, იბნევა ხოლმე მიზნის და საშვალეების განმარტებაში. მიუმატეთ ამას ბუნებაში და ადამიანში ბოროტების არსებობის ფაქტი, რომელიც თავისუფალი ნების უქკუოდ ხმარების შედეგია, და მაშინ კი თავისთავად გასაგები იქნება ყველა ის სამწუხარო მოვლენები, რომლებიც ვითომ და ამბობენ, რომ ადამიანი ტალახში სწევს და არც კი ჰსურს ზეცას შეხედოსო.

ფი—ვე სი—ძე.

შემდეგი იქნება



რა გვეჭირდება?

ასი წლის ტყვეობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას: დასცა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში, ძირიან ფესვიანათ აღმოფხვრა ძველი ქრისტიანული ჩვეულებანი, გააბინძურა სამღვდლოება, მოსპო ცოცხალი მეტყველება ტაძრებში, არარად აქცია სამშობლო საღვთისმეტყველო მეცნიერება, გააცამტვერა შესანიშნავი ნაშთი ძველი ქრისტიანული დიდებისანი. ცოტა კიდევ და სრულიად მიიძინებს ჩვენი ოდესღაც ცოცხალი, მოძრავი, მდიდარი თავის მოწამებებითა და აღმსარებლებით, თავადებული ივერიის ეკლესია. მაგრამ დაშვენდება კი ათასხუთას-წლოვან ეკლესიას ასე სამწუხაროდ, ასე უსიხარულოდ დღეისთვის თავის დღენი? დაშვენდება დიდებულ წინაპართა შვილებს და უმეტეს სამღვდლოებას ასე გულგრილად უყურონ თავის წმიდათა წმიდის დანგრევა-განადგურებას? არა და არა. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რომ დღევანდელმა ქართველობამ ამ ზომამდე მიახწევინოს საქმეს, ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ სამღვდლოება ამ უკანასკნელ სიკვდილის წამებშიაც უდებებს მისცეს თავი, არ უარჰყოს თავი

თვისი. არ აღიღოს ჯვარი თვისი და არ შეუდგეს ქრისტეს.

მართალია სამღვდლოება და მისი ადგილობრივი წარმომადგენელი ეპისკოპოსნი ბევრ რამეში არიან შეკრულ-შეზოჯილნი და უფლება-მოკლებულნი, მაგრამ კიდევ დაგვრჩენია ისეთი კუთხე თავისუფლებისა და თვითმოქმედებისა, საიდგანაც ასე თუ ისე კიდევ შეგვიძლია სრულიად არ ჩაეპროთ ის მცირეოდენი ნაპერწკალი სარწმუნოებისა, რომელიც კიდევ ღვივის ხალხის გულის კერის მიმქრალ ნაქარში, კიდევ გვაქვს საშვალეება ჩაუმატოთ ზეთი ლამპარში, რომ ხელახლა აენთოს მირულური პატრუქი და გამოსცეს შესაფერი სინითლე, კიდევ დაგვრჩენია გზა ვიბრძოლოთ სარწმუნოების შერჩენისათვის. ეს გზა არის გზა ზნეობრივ და გონებრივ თვითგანვითარებისა და ხალხის განვითარებისა სამშობლო ენაზე, სამშობლო საღვთისმეტყველო მეცნიერების გავლენის ქვეშ, ქრისტეს სახარების მეცნიერების საშვალეებით, იმ მეცნიერების, რომელსაც ასე შორს დასცილდა როგორც სამწყსო, ისე მწყემსნი სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელთა გამოჩვენას ჩვენ აქ არ შეუდგებით, რადგან ეს სახიფათოც შეიძლება შეიქნეს.

როგორ მოვიქცეთ? კარგათ ვიცით, რომ ჩვენ საღვთისმეტყველო ლიტერატურას არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული სასწავლებელში, იქ მოსწავლე თავის ენაზე ძლივს ღვთის სახელს თუ გაიგონებს; მაშასადამე საქიროა შკოლის გარეშე განვითარება ამისთვის კი საქიროა წიგნები დედა-ენაზე, წიგნები საღვთისმეტყველო, რომელიც ჩვენ სრულებით არ მოგვეძვეება. თუ შკოლაში არ ასწავლიან ქართულ ენაზე და არ აძლევენ შესაფერ წიგნებს, გარედგან მაინც მივაწოდოთ ეს წიგნები ჩვენ მოზრად თაობას, რომ კლას-გარეშე იკითხოს და განვითარდეს, შეისწავლოს საღვთისმეტყველო ენა, რომელიც აუცილებელი საქიროა მისთვის ცხოვრებაშიაც, როგორც მომავალი ქრისტიანისა და მოძღვრისათვის. და ჩვენ განა არ ვეჭვობრება იგივე წიგნები თვითგანსავითარებლად საღვთისმეტყველო საგნებში? ვინ ჩვენგა-

ნი დაიჩემებს ენის ცოდნას, სამღვთო წერილის მართლშეგნებას, როგორც ეს საჭიროა და მოითხოვება ჩვენი მსახურებისათვის? მერმე სადა გვაქვს ასეთი წიგნები? არა გვაქვს და შეგვიძლია კი გვეძიოდა, ნება გვაქვს, რომ გავიჩინოთ, მხოლოდ გვეჭირდება საშუალება და აი სწორეთ ძალის თავი აქ არის დამარბული. როცა საქმე საშუალებაზე მიდგება, როცა საქმე ფულის თხოვას დაიწყებს, მაშინ აღარაფერი გვიყვარს, აღარაფერი გვწამს. ყოველი ღონის ძიებით ვიკუყებით, ვიკრუნჩხებით ვიგრიხებით და ვიმაღლებით, რომ, რა არის, ერთი გროში ჩამოვირჩინოთ და ვასამართლებელ საბუთად ჩვენი უსახსრობა და სიღარიბე მოგვყავს. ჩვენი უბედურება და სისაწყლე ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მით გვიორკვეცდება, რომ არც ერთი საერო წოდების ქართველი არ ფიქრობს ხელი შეუწყოს ასეთ გამოცემებს. მაგრამ რა მოსატანია ჩვენი მხრით სიღარიბე იქ, სადაც საქმე სარწმუნოებას ეხება, იმ სარწმუნოებას, რომლის წარმომადგენელათაც ჩვენ ვითვლებით და რომლისთვისაც უნდა ვსწირავდეთ არა, თუ რაღაც უმნიშვნელო გროშს, არამედ სიცოცხლესაც კი: „რომელსა უყვარს დედა, ანუ მამა ანუ ცოლი, ანუ შვილი უფროს ჩემსა, იგი არ არს ჩემდა ღირს; რომელმან არა უარყოს თავი თვისი და არა შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. და ასეთი მკნების შემდეგ კიდევ შეგვიძლია რაღაც გროშზე ლაპარაკი? ხომ კარგათ ვხედავთ, რომ სარწმუნოება ჩვენი ყოფნა—არყოფნის საკითხია, ხომ ვიცით, რომ არავინ არის შემწე, რომ ეს უღელი თავის ქედზე დაიდვას და ჩვენ გაგვთავისუფლოს მოვალეობისაგან? მაშ რაღა მოსაყვანია აქ სიღარიბე და არქონება, რომელიც არც ისე გამწვავებულია ჩვენში, როგორც ჩვენ გვიყვარს მისი გამწვავება. კიდევ რომ ასე იყოს, მაინც ვერ უნდა მოვისვენოთ. ან უნდა გზა გავიკაფოდ და მოვალეობა შევასრულოთ, ან ბრძოლის ველზე ჩამოვდეთ და მტერს გზა დაუცალოთ, ან გმირულათ დავიხლოთ ქრისტეს სარწმუნოების სამსახურში.

მაგრამ არც გზის დაცლა და არც სიკვდი-

ლი საჭირო არ არის, რადგან ღვთის შეწევნით ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა ჯერ ამ ზომაზე არ დაცემულა. ვის დაუმძიმდება წელიწადში ორი-სამი მანეთის გადახდა, რაც უნდა ღარიბი მღვდელი იყოს? და ეს ფული კი, მთელი საქართველოს სამღვდლოებიდან წლიურათ შეკრებილი, სრულიად საკმარისია, რომ ჩვენი საღვთისმეტყველო ნაწარმოები სრულიად გამოიცეს, სახალხო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნებ-წიგნიკები გამრავლდეს და საზოგადოთ აღორძინდეს ღვთისმეტყველება ქართულ ენაზე. არა ერთხელ გვიცნობებია სამღვდლოებისთვის ჩვენი გამოცემის საშუალებით, რომ ქუთაისში დაარსდა სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა, რომლის მიზანს სწორეთ ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო წიგნებ-წიგნიკების გამოცემა შეადგენს. დავებმართ ამ საზოგადოებას წლიური საწევრო სამი მანეთის შეტანით და ნაცვლად მივიღოთ თითო ცალი გამოცემული წიგნისა. ამნაირად სხვასაც მივცემთ შეძლებას წაიკითხოს ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო წიგნი და ჩვენც გავიჩნეთ ჩვენთვის საჭირო წიგნების შინაურ წიგნთსაცავს, რომლითაც სხვებიც ისარგებლებენ.

ეს ერთი საშუალება, რომლითაც შეგვიძლია დავებმართ საჭირო წიგნების გამოცემას. მეორე საშუალება ის იქნება თუ ორი წილი მაინც სამღვდლოებისა ვალად დაიდგენს შეიძინოს ძმობის ყოველი გამოცემა რა ფასადაც უნდა ღირდეს იგი (რა თქმა უნდა ძმობა ეცდება, რომ გამოცემა, რაც შეიძლება, იფად დაჯდეს). ეს ძმობას ღიდ საშუალებას მისცემს, რადგან წინდაწინვე ეცოდინება, რომ გამოცემა ტყუილა არ დაუცვინდება, თავს დაიხსნის და შეძლებას მისცემს სხვა წიგნის გამოცემაზე იზრუნოს. ეს მეორე საშუალება და მგონი არავისთვის საშიშარი და საძნელო არ იქნეს. საშიშარი მიტომ, რომ უკვე გამოსულ წიგნს ყიდულობს და ფულის დაკარგვის შიში არ არის, სამძიმო მისთვის, რომ თითოეული წიგნი ეღირება არა უმეტეს მანეთ ან მანეთ ნახევრისა და ასეთი წიგნი წელიწადში გამოვა სულ ორი ან სამი, გარდა მათ ფასიან სახალხო წიგნაკებისა.

მესამე საშუალება მდიდარ სამღვდლოების დახმარება. უმეტესობა ღარიბი ჩვენში, თქმა არ უნდა, მაგრამ ბევრი შეძლებულიც არის, რომელსაც შეუძლია ყოველ წლობით თუ არა, ორ-სამ წელიწადში ერთხელ, ან მთელ სიცოცხლეში ერთხელ თავის საკუთარი ხარჯით გამოსცეს ან გასაყიდლად ან მუქთად დასარიგებლად რომელიმე საღვთისმეტყველო წიგნი ან წიგნაკი. მზგავსი მაგალითი კიდევ მოხდა ამ ცოტა ხანში, — როგორც მაგალ. მღვ. ს. კურტიანიძემ გამოსცა მუქთად დასარიგებელი წიგნაკი და მღვ. ევ. მაისურაძემ მუქთად დახმარება აღმოუჩინა „შინაური საქმეების“ რედაქციას ფრიად საყურადღებო და საღვთისმეტყველო წიგნის გამოცემაში: „სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა“. ასეთ ქველმოქმედებას განსაკუთრებით ის ღვდლები უნდა ეწეოდნენ, რომლებსაც საშუალება აქვთ და ცოლშვილით დატვირთულნი არ არიან, ან სულ არა ყავთ პირდაპირი მემკვიდრე და მათი ქონება ვიღაც მამიდაშვილებს უნდა დარჩეს, რომლებიც, სიტყვაზე ვსთქვათ, დიდ მადლობას არ ეტყვიან მას ამისთვის და, ვინ იცის, წაწყმენდასაც ბევრს შეუთვლიან. უნჯობესია ბევრმა და ისიც სულიერათ ისარგებლოს ჩვენი ქონებით, ვიდრე ერთმა და ისიც ხორციელი განცხრომისათვის, რომელმაც შეიძლება კიდევ დაღუპოს იგი სულიერადაც და ხორციელადაც.

მაშ ასე: ზოგი ძმობას დავეხმაროთ, ზოგმა გამოცემული წიგნების ყიდვა სავალდებულოთ გავიხადოთ, ზოგმაც გამოცემლობა ვიტვიროთ და ასე გაუძღვეთ საერთო საშვილიშვილო საქმეს. მტერიც კი პატივის ცემით გაიმსჭვალება ჩვენდამი, როცა ჩვენ შრომასა და მუყაითობას შეხედავს. ხალხიც და ნასწავლი საზოგადოებაც მხარს მოგვეცემს და ამნაირათ შეიქცება ჩვენი ეკლესიის ერთი საგრძობელი ნაკლი.

ეჭვი არა გვაქვს ამ ჩვენ მოწოდებაზე გამოგვეხმარებიან ჩვენი ეკლესიის წინამძღვარნი

მამანი და გაგვაგებებენ ვინ რომელ გზას აირჩევს აღნიშნულ საქმის წასამართავათ.

უცხოეთის მიმოხილვა.

გაგრძელება*

სწორეთ ასეთივე ამბავი მოხდა ინდოეთშიაც. იქ გაჩადა სახელოვანი განგადარ ტილაკი, რომელმაც ნიჭიერად გამოიყენა გაუნათლებელი ხალხის ფატანიზმი და ინდოეთის არემარეს მოსდვა აგიტაცია-სარაჯისა; ე. ი., ინდოეთის გათავისუფლების და ეროვნული დამოუკიდებლობის დიდი საქმის ქადაგება. ამ დიდი მიზნის გასამარჯვებლად ტილაკმა იხმარა ბრძოლის თანამედროვე მეთოდები: იგი იბრძვის ინდოეთში დიდათ განვითარებულ პრესის საუშალებით, ეწევა მხურვალე აგიტაციას თვითმართველობის ორგანოებში არჩევანების დროს, ხსნის წმინდა ეროვნულ შკოლებს და ქადაგობს „სვადეშის“, ე. ი., უცხადებს ბოიკოტს ინგლისის საქონელს. ტილაკი თუმცა ინდუსელების სარწმუნოების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ იგი გამწარებული ებრძვის ბრამინთა ორტოდოქსიას და ლიბერალურ განმარტებას და აღსნას აძლევს ვედებს (საღმრთო წერილის სახელწოდება), ამასთანავე იგი ებრძვის კასტურ განკალკეებასაც. მართალია, იგიც ბრამინია, მაგრამ ევ შესანიშნავი ბრამინი მხურვალე აგიტაციას ეწევა „პარიებს“ შორის ინდოეთის დიდ ქალაქების ფაბრიკებსა და ზავოდებში.

ინდოეთში სხვა ბევრი სექტებიც არის გავრცელებული, რომელიც ებრძვის უცხოელებს და უნდა აღადგინოს წმინდა ძველებური რელიგია ვედებისა და მოიპოვოს სრული ეროვნული დამოუკიდებლობა. არის ერთი დიდათ შესანიშნავი სექტა „Arya-Samaj“, რომელიც ინგლისის პურიტანიზმს მოაგონებს კაცს. ამ სექტას უნდა, განსწმინდოს ინდოეთის შელახული რელიგია და აღადგინოს ძველი მტიკე, მაღალი ზნეობა, რომელიც ხასიათათ ქონდათ გადაქცეული ინდოეთის სულით და ხორციით

*) იხ. „ზნ. საქ.“ № 28—29.

ძლიერ შვილებს. ამ სექტის დემოკრატიზმი და ნაციონალური თავისუფლებისთვის თავდადებული ბრძოლა მოგაგონებთ პირდაპირ პურიტანელების მოძრაობას ინგლისში. ინდოეთის რევოლუციის ახალ მომდინარეობაში ვედებს ისეთივე როლი და მნიშვნელობა აქვთ სწორეთ, როგორც ნემენცების რეფორმაში მე-16 საუკუნეში და ინგლისის რევოლუციაში მე-17 საუკუნეში ქონდა დაბადებას (ბიბლიას). ინდოეთის რევოლუციონერებსაც ბრძოლის დროს რელიგიური საგალობლები ამხნევებენ და მათში აღძრავენ დიდ ენტუზიაზმს სწორედ ისე, როგორც ინგლისში კრომველის შემობრუნებას აღუძრავდა—ფსალმუნები.

ჩინეთში ასე ძლიერ არ არის შეერთებული ძველი ნაციონალური ტრადიციები და ლიბერალთა ბრძოლის მიზნები და საშვალეხანი. მაგრამ იქაურს მოძრაობასაც ასეთი ხასიათი აჩნია. იქაც რევოლუცია ხალხის ტრადიციებს მიმართავს ხალხმე, ჩინელების საუკუნოებით შეზდილს სურვილს მანჯურელების ბრძანებლობის წინააღმდეგ, პრავინციების ავტონომიურ ტენდენციებს და ევროპელების სიძულვილს, ზიზღს, რომელიც ყოველ ჩინელს ღრმად გულში უღვივის. ამიტომაც არის, რომ ჩინეთის რევოლუცია, რომელმაც ნიჭიერად გამოიყენა 500 მილიონიანი ადამიანის ინსტიტუტები და ინტელიგენციის მისწრაფებანი, რომელიც ამერიკაშია აღზრდილი: ჩინეთი გადააქციოს ფედერალურ-დემოკრატიულ რესპუბლიკათ სწორეთ ისე, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

ამგვარად, ლიბერალიზმის მოძრაობას აღმოსავლეთში მასური ხასიათი მიეცა. ამან სრულიად ახალი მჩქეფარე სიკაცხლის ნაკადული შეიტანა იქაურ კულტურულ ცხოვრებაში, რაც ნათლად დაეტყო აღმოსავლეთის ყველა ერების ლიტერატურას. ბენგალიაში, მაგალითად, დაიბადა ახალი ლიტერატურა და იმისი რელიგიოზურ-პოლიტიკური ჰიმნები მოედვა მდებია ხალხს. მაკდონალდი ამბობს, რომ „ბენგალეს ბაბუს გადააქვს ნაციონალიზმი რელიგიაში, მუსიკაში, პოეზიაში და ლიტერატურა-

ში. აგიტატორი, წინასწარმეტყველი და მწერალი, იგი ამასთანავე უფრო მისტიკია, ვიდრე პოლიტიკოსი“. იმისი უმთავრესი იარაღი პრესაა. სპარსეთში რევოლუციის დროს 90 გაზეთი გამოდიოდა, ინდოეთში ურიცხვი გაზეთი გამოდის და „ლევის“ დაბეჭდილ ასოების წინ თრთიან ინგლისის პროკონსულები ეგვიპტეში. დაბალი ხალხები და საზოგადოების ფართე წრეები პოლიტიკური ცხოვრების მდინარის ტალღებს გაუტაცნია. ფრეზერი ამბობს, რომ „თეირანში თითოეულ კვადრატულ მეტრზე უფრო მეტი პოლიტიკაა, ვიდრე სადმე დედა-მიწის ზურგზეა“.

ევროპის ჟურნალისტიკას სრულებით არ ესმის მნიშვნელობა ამ ახალი მოძრაობისა. დასავლეთის ლიბერალურ პრესას, რომელიც აღმოსავლეთის ერების თავისუფლებისთვის ატეხილ ბრძოლას სანაქებო თანაგრძობით შესცქერის, ინტელიგენციის წინანდელი ნაციონალ-ლიბერალური მოძრაობა გონია მხოლოდ. დიდი ბრიტანიის იმპერიალისტური ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ გუნებაზეა ყოველთვის, ამ აღმოსავლეთის ერების აჯანყებაში ხედავს მხოლოდ ეროვნულ და სარწმუნოებრივ ფანატიზმს, სიძულვილს და ზიზღს ევროპელების მიმართ. ინტელიგენციის ლიბერალიზმი და მდებია ხალხების რეაქციონური მოძრაობა იმას არ ესმის და არც გაეგება. ეს დიადი მოძრაობა ჩვენთვის მაშინ გახდება დღესავით ნათელი, როცა ამ მოძრაობის ანალოგიას მე-18 და 19 ს. ს. რევოლუციებში კი არ დავუწყებთ ძებნას, არამედ მე-15, 16 და 17 საუკუნოების რეფორმაშია.

აღმოსავლეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას გუშინამდი საშვალე საუკუნოების ცხოვრების ხასიათი ქონდა. ნატურალური მეურნეობა, ფეოდალიზმი, საზოგადოების კასტური კარჩაკეტილობა, რელიგიოზური კულტი, მეცნაერების წმინდა სხოლასტიკური ხასიათი, მამა-პაპური გადმოცემანი, სიბრძნე-მოძღვრებანი და ჩვეულებანი გამეფებულიყო მთელს აღმოსავლეთის არე-მარზე სწორეთ ისე, როგორც ეს იყო

ევროპაში საშვალ საუკუნოების დროს; ევროპის კაპიტალის იქ შექრამ ამ ცხოვრების საფუძველი სულ დაარღვია. ამ ჟამად აღმოსავლეთიც იმას განიცდის სწორედ, რაც განიცადა ევროპამ საშვალ საუკუნეებში. როგორც მე 20 საუკუნეში ნემენცთა ქვეყნების ინტელიგენციამ ყველაზე უფრო ადრე ჰუმანიზმი შეითვისა, სწორედ ისე ამ ჟამად ევროპის დიდთ საყურადღებო ლიბერალიზმს ითვისებს აღმოსავლეთის კლასიკური ერების მთელი ინტელიგენცია.

როგორც მე 16 საუკუნის მოძრაობამ მიიქცია დასავლეთის ერების დიდი ყურადღება იმით, რომ იგი იღგა სარწმუნოების, რელიგიის ნიადაგზე, ისე აღმოსავლეთშიაც ამ ჟამად ამტყდარი საპოლიტიკო-სოციალურ მოძრაობას მოჰყავს ხალხები ძლიერ მოძრაობაში იმიტომ, რომ დაყრდნობილია რელიგიურ და ეროვნულ იდეებზე, რომლითაც სუნთქვენ აღმოსავლეთის ერები. აღმოსავლეთი ამ ჟამად თვისი რეფორმაციის წინა დღის დიდ მზადებაშია. მაგრამ რეფორმაცია აქ სწორედ იმ დროს დაიწყო, როცა ორთქლის გემები აღმოსავლეთის ბოლაზებში ზღაპრულ გველეშაპით საბედისწერო ქშენით შედიან, როცა აქაურ თვალწევდენელ მიღვრებზე ტყის ქაჯებით გაჰკივიან რკინის გზის ლოკომოტივები და ევროპიდან შეაქვთ სხვადასხვა ორთქლის მანქანები, საქსოვი მანქანები, მექანიკური საფეიქრო დაზგები, როცა ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებიდან მზა-მზარეულათ გადააქვთ პარლამენტარული დაწესებულებანი და ჩვენი თანამედროვე საპოლიტიკო და სოციალურ იდეები. მანუფაქტურიდან გადასვლა ფაბრიკაზე, ფეოდალიზმიდან — თანამედროვე დემოკრატიულ პარლამენტარიზმზე, რეფორმაციიდან — რევოლიუციამზე, ლიუტერიდან — რობესპიერზე, თომა მიუნცერიდან — მარკსზე — ეს გადასვლა ევროპაში მთელი სამასი წელიწადი გაგრძელდა, აღმოსავლეთში კი, შედარებით, უფრო ძალიან ჩქარა მოხდება.

მოძრაობის საერთო ხასიათის ნიშნები ერთი და იგივეა ყოველგან აღმოსავლეთში, მაგ-

რამ თითოული ქვეყნის რევოლიუციის თვისება სრულიად შეეფერება თვისი საკუთარი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულს პირობებს ცალკ-ცალკე.

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

ეპისკოპოზი დავითის წერილი.

(„ზაკავკაზ“. 183 №).

ერთი რუსული სასულიერო ორგანო ქება-დღეობას უქმევს ეპისკოპოზ დიმიტრის (აბაშიძეს) და სხვათა შორის სწერს „აკავასიაში საეკლესიო-რევოლიუციონური მოძრაობის ხანაში როცა ქართ. ეკლეს. ავტოკეფალიის საკითხი იყო გამოცხადებული, დიმიტრი ეპისკოპოზი ერთადერთი შეუდრეკელი და ბეჯითი მომხრე დარჩა და იცავდა საქართველოში დღეს-არსებულ საეკლესიო წესწყობილებას, მაშინ როცა ყველა ეპისკოპოზები და თვით ეგზარხოსი ნიკოლოზიც მხარს უჭერდნენ ავტატორ — ავტოკეფალისტებს. ასეთი გაბედულობა იმ არეულ დროში ეჭ. დიმიტრის ცუდ საფრთხეს უმზადებდა.

ამნაირათ ავტორი კიცხავს ქართველების სლრვილს ქართ. ეკლ. ავტოკეფალიის აღდგენისას, ქება-დიდებას ასხამს დიმიტრი ეპ-ს და ღირსებათ უთვლის, რომ ქართველ საღვდლოებს არ თანაუგრძნობს.

საკვირველია, რომ ამ ხალხს მიუდგომლათ, დამშვიდებით და ფხიზლათ არა სურს შეხედოს ქ. ე. ავტოკეფალიის აღდგენის სურვილს.

უკეთუ ამ საკითხს საეკლესიო-კანონიური მხრით შევხედავთ, ყველა, ვისაც კი გონება და სინიღისი არ დალატობს, ის ეკლესია რომელიც რამდენიმე საუკუნე ავტოკეფალიური იყო და არც საეკლესიო კრებებს, არც აღმოსავლეთის პატრიარქებს მისთვის ეს უფლება არ წაურთმევიათ, ახლაც ავტოკეფალური უნდა იყოს. ვისთვისაც ეს საგანი საგულისხმოა, პროფ. ცაგარელის წიგნი — „წერილები და შენიშვნები ქართულ ეკლესიაზე“ — წაიკითხოს.

თუ საქმეს პრაქტიკული თვლით შევხედოთ, მაშინ არაფერი საფუძველი არ დაგვიჩება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ავტოკრფალია დამლუპველი იქნება. რათ დაუყენიათ ქართ. ეკ. ავტოკრფალის მტრებს რომ ქართ. ეკ.—თვის იგი ვნებავს მოიტანს და არა სარგებლობასო. განა რუსის ეკლესიას აენო, როცა მიტრობოლიტებათ და ეპისკოპოზებათ ბერძნებს აღარ აყენებენ, არამედ რუსებს? ზარალი მოუვიდა მით, რომ იგი ბოლოს სულ ჩამოშორდა კოსტანტინეპოლის ეკლესიას? იქნება ფიქრობენ—ქართველ მაღალ სასულიერო პირთ არ შეუძლიათ ეკლესია მართონ. კარგათ ვიცნობთ რუსის ბერ-არქიელებს და თამამათ ვიტყვი—არც ჩვენა ვართ „ძაღლები“ და შეგვიძლია „მოღვაწეობა უფლის ყანაში“. ამ მხრით გული დაიმშვიდონ ჩვენმა მოწინააღმდეგე ბაიზანტრებმა. შეიძლება, თავიდან ჩოჩკოლიც ატყდეს, შეხლა-შემოხლაც გაჩნდეს მაგრამ ამან სულაც არ უნდა შეგვაშინოს. არსებული წყობილების შეცვლის დროს, ყოველ ხალხში მომხდარა და ამტყდარა აღფლვება, გაუგებრობა, მაგრამ საქმე მალე კალოპოტში ჩამდგარა და მშვიდობა დამყარებულა. შეიძლება, ჩვენშიც ეს მოხდეს, იმის გამო, რომ ახლანდელი საეკლესიო მართვა-გამგეობის წყალობით, ბევრი უვარგისი ელემენტი გაჩნდა.— შეიძლება წესი დაირღვეს თავდაპირველათ, მაგრამ მალე კეთილგონივრება, პატიოსნება თავისას იქს და ყველაფერი მოეწყობა. თუნდა მარტო ის რათ ეღირება, რომ ქართველი საღვდლოება გადარჩება მლიქვნელობას, შხაკრობას, პირ-ფერობას, ლაქუცობას, რომ როგორმე მაღალი ადგილი ხელთ იგდოს, ნიადაგი გაიმავროს. ჩვენი სასულიერო პირი, რომელსაც თავში თვის ნაცვლად ტვინი აქვს თავის, შინ სულ სხვას ამბობს და მთავრობის წინ კი სულ სხვას მოისპო პირდაპირობა. ყველგან ორპირობა და მლიქვნელობა გამეფდა. და ყველა ეს შედეგია ეხლანდელი საეკლესიო რეჟიმის, შედეგია საეკლესიო ცხოვრებაში გარუსების პოლიტიკის. იმითაც კარგი იქნება კიდე, რომ ქართველისა და რუსის შორის დამოკიდებულობა შეიცვლება, არავითარი საფუძველი არ იქნება კინკლაობისთვის,

მკვიდრი, ძმური კავშირი განწყესდება. ბოლოს, ცხადია, როცა ქარ. ეკ. დამოუკიდებელი გახდება, თვით გახდება პატრონი თავის თავისა, ძალას მოიკრებს და აღორძინებისთვის ენერგიულ ძალას იხმარს.

უკეთუ ამ საკითხს სახელმწიფოებრივი თვლით შევხედავთ, აქაც ვერ შევხედებით ლაბრკოლებს, რომ ქარ. ეკლ. ავტოკრფალია აღდგენილ იქნას. ქართველების „მოკეთებებს“ მუდამ სეპარატიზმი ელანდებათ. ხოლო თუ ამით არ ასხიათ თავი, ქართველებს, მაღლობა უფაღს, ჯერ გონება კიდევ არ დაუკარგავთ და იციან, რომ თანამედროვე რთული და ძნელი ხალხთა შორის დამოკიდებულობის წყალობით რუსეთს მოწყვეტილი საქართველო დიდხანს ვერ იარსებებდა, როგორც ცალკე სახელმწიფო. თავისუფალი ეკლესიითაც ქართველები დარჩებიან განუყოფელი წევრნი რუსეთის სახელმწიფოსი. განა იმის მაგალითი არაა, რომ ეკლესია თავისუფალი აქვთ, მაგრამ ისეთივე ერთგული არიან რუს ხელმწიფისა, როგორც ქართველები. ბოლონდლები, სომხები, თათრები, სხვანიც ბევრი ეკლესიის საქმეში თავისუფალი არიან. ქართველები რათ უნდა შეადგენდნ გამონაკლისს? ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ რუსებთან ერთად ერთი სარწმუნოების არიან?

თუ მართლა ეს არის მიზეზი, ქართველებს სინანულია დარჩენიან, რომ სხვა სარწმუნოების არ არიან. მაგრამ ერთ-სარწმუნოება საფუძველი არაა იმისი, რომ ქართული ეკლესია რუსისას დაექვემდებაროს. ბიზანტიის იმპერიაში რამდენიმე საპატრიარქო იყო. არა, როგორც სომხები, კათოლიკეები და მკამბიანები არ არიან გამოყოფილნი რუსთაგან, არც ქართველები გამოყოფიან თავისუფალი ეკლესიით—ავტოკრფალით.

არ დავფარავ, რომ ჩვენ, ქართველებს გვინდა ქართველათ დარჩენა, გვინდა მშობლიურ ენაზე ვილაპარაკოთ შინ და ეკლესიაშიც. და განა ეს დანაშაულია? განა ამის უფლება არა გვაქვს? განა ეს ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს? ქართველები იმიტომაც შეუერთდნ

დენ რუსეთს, რომ თავის ეროვნება დაეცვათ. თუ სომხებსა და სხვა ერს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავის ეროვნული ელფერი ეკლესიაში, ქართველებს რათ უნდა წაერთვას ეს უფლება?

თავისუფალი ეკლესია ქართველებს იმიტომ ექვირებათ, რომ ნამდვილ სარწმუნოების საქმეში გამარჯვებულ პოლიტიკას ადგილი არ ქონდეს, რომ ამით შეურაცხყოფილი არ იქმნეს, არ განელდეს და ფასი არ დაეკარგოს ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობას.

უკეთეს საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი ნიკოლზი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე იყო, ეს ღირსებათ ჩათვლება მას და დიმიტრი (აბაშიძე) ეპისკოპოზი კი საყდურის ღირსია და არა ქება-ღიღების კმევისა, როცა არ თანაუგრძნობს ამ ავტოკეფალიას, ადრე მეც რყევაში ვიყავი, ვფიქრობდი — ქართული ეკლესიის საქმეში ეგზარხოსული მართვაგამგეობითაც დამყარდება-მეთქი მშვიდობა. მაგრამ ახლა კი მტკიცეთ ვადგივარ იმ აზრს, რომ სანამ არსებული მართვა-გამგეობა იქნება საქართველოში, ქართველ ხალხში ეკლესიური ცხოვრება ვერ აღორძინდება.

ეპისკოპოზი დავითი.

ლოთობა.

(გაგრძელება *).

განვიხილოთ ახლა რა არის ალკოგოლი და რა შედეგი მოჰყვება მის სმას? ღვინოსა, ლუდსა, არაყსა, ლიქორსა და სხვადასხვა სასმელებში არის მათრობელი, — ალკოგოლი, — თავი და თავი უბედურება ამ ალკოგოლშია. ალკოგოლია აბსოლიუტური სპირტი, მწვევე გემოსი, იგი ადნობს კუპრსა და ეთერის ზეთს, მთელს აგებულობას ადამიანისას აღძრავს, აჩერებს ნივთიერებათა მოძრაობას სხეულში, მაგ. სისხლის ტრიალს. იგი შესდგება უმეტეს ნაწილად შაქრისა და სახამებლისაგან.

* იხ. ზინ. საქ. № 28—29.

ალკოგოლი (სპირტი) შუშით საწამლაგია. თუ დალია კაცმა სწავს ტუჩებს, პირსა, ენასა, სასასა და კუქსა. ყველა ამათ გაათეთრებს, შეკუმშავს და მათ გარშემო შემოკრულს გარსსა ხეთქავს, აჩენს ანთებას. სპირტის უმეტეს ნაწილს იშრობს კუჭი და აქედამ გადადის სისხლში, შხამავს ტვინს და ყველა სხეულის ნაწილებს. აი ასეთი ძალა აქვს სპირტსა.

დროგამოშვებით თავის მოსაწამლაგად კაცმა შემდეგი ხერხი მოიგონა: გადაურია წყალი სპირტში. 40 ნაწილი რომ სპირტია, 60 წმინდა წყალი. კაცი, რომელიც ყოველ დღე სვამს ღვინოს, ანუ არაყსა ნელ-ნელა იშხამება, მაგრამ ისე, რომ მისი გამობრუნება ძნელია.

ვინც ძრიელ ბევრსა სვამს მაგარ სასმელებს, ერთბაშით უგრძობლად ხდება; ის მიეცემა ღრმა ძილსა, პირს ასაქმებინებს. პირისღებინება ხომ იმის მომასწავებელია, რომ სხეულს უნდა გაიშროოს ყველა ის ნივთიერებანი, რომელნიც მას ახდენს და ნელ-ნელა აფუჭებს. მთვრალი კაცი რომ გამოიღვიძებს სტკივა თავი, გულის კოვზი, სუსტათაა, მოღუნებულია, მუშაობა და მოძრაობა ეძნელება, მადა ეკარგება, მოწყენილია და ხელმეორედ უნდა სმა. ვინც ყოველს დღეს სვამს, მას ტვინი სტკივა და ბოდავს. თუ მან სმას თავი არ დაანება, ბნედა ემართება და ან ქუაზე ირყევა და თუ ამ წენს გადურჩა, მაინც დიდ ხანს იტანჯება; მადა ხომ სრულიად აღარ აქვს, საქმელს ცოტას ღებულობს: ცოტაოდენი მთავე მწნილი და პურის ნატეხი მისთვის საკმაოა, ეს იმიტომ, რომ მისი ტვინი, ნერვები, კუჭი და ყველა ორგანოები იმდენად გადასხვაფერდა, რომ უღვინოთ სიციცხლე ასიციცხლე არაა. დიდათ იტანჯება ლოთი. მას გულს უღრღნის რაღაც კია, რომელიც სასმელს თხოულობს და ისიც სვამს და სვამს თავ-დავიწყებამდი. ეს კიაა ტვინის და ნერვების ავადმყოფობა, ამისათვის ტანჯვის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის საჭიროა სმა.

ვინც ზომიერად სვამს არაყსა ანუ ღვინოს, მასაც არ ადგია კაი დღე. ვსთქვათ, ვინმე დალია დღეში ორი ჭიქა არაყი სადილ-ვახშმის

წინ. წარმოვიდგინოთ, რომ მან დაიწყო სმა 20 წლისამ დაბადებიდან (ზოგი 14, 15, 16, წლიდან იწყებენ) და განაგრძო 50 წლამდე. 30 წლის განმავლობაში იგი დაღევს 21,900 კიკას, რომელშიაც, თუ მივიღებთ 400/0 სპირტსა და 8 მისხალს წონას, იქნება, 1500 გირვანქა წმინდა სპირტი. ახლა ვიკითხოთ შეუძლია კიდევ სიცოცხლე ისეთ ადამიანს, რომელმაც ამდენი სპირტი დალია? ყველაზე უფრო საწამლაგია კარტოფილიდან მომზადებული არაყი და ცუდათ გაწმენდილი, რადგან სახამებლიანი სპირტი კაცის მკვლელია.

ზოგი მისთვის სვამს ღვინოს და არაყს, რომ უნდათ სხეულის შეხურება. მაგრამ, ჯერ თუმცა შეხურდება სხეული, რომ გულის მოძრაობით და სისხლის ჩქარა მიმდინარეობით სპირტი შეუშვას სხეულში, მაგრამ შემდეგ სითბო იკლებს გული ცოტას მუშაობს და სისხლიც აღარაფრად მოძრაობს. ამიტომ ვისაც გონია მაგარი სასმელებით სხეულს ვათბობო, ის არამც თუ ათბობს, კიდევ აცივებს. პირიქით დამტკიცებულია, რომ ჩაი, ყავა უფრო ათბობს სხეულს და ვინც სვამდენ ამაებს, მაგ. ჯარის კაცები და მოგზაურნი, უფრო ადვილად იტანდენ ღიღი ხნის მოგზაურობას და დაღლილობას სიცივეში. ზამთარში არყის მსმელნი ყინვასა და სიცივეში უფრო ცივდებიან, მაგ. 5 გრადუს სიცივეში ლოთები იყინებოდნენ და ფხიზელნი უფრო თვლიად გრძნობდნენ თავსა.

ტყუილად ჰფიქრობენ ზოგიერთები, თითქო მაგარი სასმელები მადას აძლევდეს ვისმე და საჭმელს ანელებიებდეს. საჭმლის მონელება მდგომარეობს მასში, რომ კუჭმა უნდა მიიღოს საჭმლიდან მასაზრდოებელი ნაწილები, — ცილა, — მოხარშული და შემწვარი საჭმლიდან (ხორცი, თევზი და სხ.), რომელიც შეკრულია. კუჭის წვენი ამ შეკრულს ცილას ხსნის და ცალკე ნაწილებს ადგენს და მაგარი სასმელის მიმღები ქამის დროს ამ ცილს კი აღარ გახსნის, არამედ ისევ მკვრივად სტოვებს. ამის გამო საჭირო საჭმლის მონელება, ამ დროს კი კუჭი საჭმელს ვეღარ ხარშავს, ამისათვის ლოთები ყოველთვის ყაბზათ არიან მუცელში. აქ

მათ ისევ სპირტი თუ რასმე უშველის, იგი, ე. ი. სპირტი კუჭს ამუშავებს მართლა, მაგრამ ისევ ჩქარა ასუსტებს და აღუნებს.

დამტკიცებულია, რომ მაგარი სასმელები, მხედველობას უკლებს ადამიანს, ამას უწოდებენ „ალკოგოლურს სიბრმავეს“.

გარდა ამისა სიმთვრალეს შედეგად მოჰყვება ხოლმე ტკუის შეშლა. ტკუაზე შეშლილებს შეილებიც ხომ დაავადყოფებული ებადებათ?! ზოგი მათგანი ახალგაზრდობაშივე ვარდებიან ტვინის ავადყოფობაში და უდროთ ესალმებიან წუთისოფელს, ზოგი კი ტკუათხელები გამოდიან, გონება დაფანტული და, როდესაც სრული წლოვანი შეიქმნებიან, სულით ავად ხდებიან და თუ ცოლი შეირთეს, დაავადყოფებულს შთამომავლობას სძენენ კაცობრიობას.

ამის გამო შენიშნულია ლოთებში გადაგვარება, გადაშენება, საზიზღარი სნეულებანი, სიკვდილი და ბოლოს მთელი ოჯახის ამოწყვეტა.

ნამეტანი ზნეობრივი ზიანი მოაქვს ლოთობას ადამიანისათვის. მთვრალეები ხშირად ქურდობენ. ვინც ბევრს სვამს ის ცუდ საქმის ჩადენაში მარდია. ას ქურდებში, 75 ლოთი ყოფილა.

ვინც სპირტს ეტანება, მისი ოჯახი ჩქარა ქრება. ათასი და ათიათასი მდიდრები გაულარიბებია ლოთობას.

ზოგიერთს, როგორც მდაბიო, ისე განათლებულ ერებში, გავრცელებულია ისეთი აზრი, თითქოს ბავშვებისათვის მაგარი სასმელი სასარგებლო იყოს. ამის გამო ძუძუმწოვარ ბავშვებს ასმევენ, რომ უფრო დაეძინოთ; თვითონ დედები და ძიძები მიირთმევენ მაგარ სასმელებს. ამიტომ ემართებათ ტვინის ანთება საცოდავ ბავშვებს. თუ კი მოზრდილ ადამიანს სწყენს მაგარი სასმელები, პატარებისათვის რაღა იქნება! ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბავშვის ტვინი ნაზი და მგრძობიარეა, ამიტომ ვერ ეგუება არაყსა. მაშასადამე ვინც ბავშს არაყს აწოდებს, ან ღვინოს, იგი მას უშხამავს სპირტით სხეულს და გამოიწვევს ტვინის ანთე-

ბას, რომელიც ძნელი მოსარჩენია მთელ მის სიცოცხლეში. ტვინის ანთება ბავშვებისა გადადის წყალ-მანკათ, ე. ი. წყალი ჩაუღვება თავის ქალაში, რომელიც აწვება ტვინსა და ვერც შესძლებს იმის იქილამ გამოგდებას, ამნაირად ბავშვი კვდება. მართლაც პირველ შემთხვევაში მაგარი სასმელისაგან ბავშს სძინავს უკეთესად, მაგრამ ამასთანავე სიცხე ემატება ტანსა და თავში, თავი სტკივა და ვერც ამბობს რა ემართება. ამ ტკივილებს იგი გამოხატავს ტირილით და მოუსვენრობით, შემდეგ ძალა ეკარგება, აუტყდება პირის ღებინება და დიდი სისუსტე, ბავშვი ძუძუს აღარ სწოვს. აი ამდროს იწყება ბავშვის განკურნება მაგარის სასმელით, ე. ი. ცეცხლზე ნავთს ასხმენ და იმის მაგიერად, რომ მოარჩინონ ბავში, სნეულებას ძენენ მას: ბავშს მართლაც ძილი მოსდის და უდროით კვდება. ამნაირად ბავშვები იცოხებიან მაგარი სასმელების სმით. ასეთივე გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვებზე მცენარე „ხაშხაშს“, რომელსაც მდაბიო ხალხში დიდი გასავალი აქვს, როგორც ძილის მომგვრელ საშვალეებას. დედები ამ შემთხვევაში, როდესაც მთვრალ ბავშვს აძინებენ, თითონაც თავისუფალი არიან მოსვენებით და მეტ საქმესაც აკეთებენ ბავშვის ძილის დროს. ასეთია უმეტესების შედეგი. ის კი არ იციან მათ, რომ დღეს უმოკლებენ უღანაშაულო ყმაწვილებს.

მაგარი სასმელების გადაგდება არც თუ ისე ძნელია და გვიან თავიდან ასაცილებელი. ვინც მოინდომებს სიმთვრალის მოშლას, ეს ყოველთვის შეუძლია მას. დამტკიცებულია, რომ სასტიკი ლოთები, როდესაც სმას თავს ანებებენ, ხელ-მეორედ იბადებიან. ვინც თავისთავის მტერი არაა, ის მალე განიკურნება სნეულეებისაგან.

მღვ. კ. ანთაძე.

შემდეგი იქნება.

პასუხი სოფლის მასწავლებელს.

„შინაური საქმეების“ №№ 26—27 ში მოთავსებულია სოფლის მასწავლებლის წერილი,

რომელშიდაც იგი ბრალსა სდებს იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს, ვითომც იგი არ ზრუნვიდეს საზოგადოდ შკოლებისათვის და კერძოდ საპედაგოგიო კურსების გახსნისათვის და მე (უთუოდ მე, რადგან ჩემს მეტი საბჭოს წევრი კურსებზე არ ყოფილა) ვითომ მუქარით მეთქვას, რადგან ჩამოდით, ნულარ წახვალთ თორემ დაისჯებითო.

ფაქტების დამახინჯება, სიცრუე და ცილისწამება ბევრი მინახავს და გამოგონია ამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში, მაგრამ ასეთი აშკარა და ურცხვი, როგორც მასწავლებელს უკადრებია, ძნელი წარმოსადგენია. მე პირადათ იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს ვეჭილად არ უდგები, ეს ჩემი საქმე არ არის და არც მონდობილი მაქვს ეს მისგან, არამედ მე, როგორც ყოველი ადამიანი, ვალდებული ვსთვლი ჩემს თავს საქმის ვითარება სისწორით გავაცნო მკითხველს, რომ იგი შეცდომაში არ შეიყვანოს ხსენებული მასწავლებლის ყალბმა შენიშვნამ.

ვისაც ცოტაოდნად მაინც თვალ-ყური უღვევებია ხსენებული საბჭოს მოქმედებისათვის, იგი მას ვერ დასწამებს უმოქმედობას და მკონარეობას სამრევლო შკოლების საქმეში საზოგადოდ და კერძოდ საპედაგოგიო კურსების მოწყობაში. როცა მას საშუალება ნებას აძლევდა, კურსებსაც წესიერად მართავდა, ხელმძღვანელებიც კარგი ყავდა მოწვეული და საქმეც კარგად მიდიოდა, რაიცა იქილგანაცა სჩამს, რომ ამ კურსებზე ბევრი კარგი დაიწერა და ცუდი კი არაფერი. ხოლო მას უკან კი, როცა მთავრობამ საბჭოს შუამდგომლობა არ შეიწყნარა და კურსებისათვის ფულები აღარ მისცა, თუმცა საბჭოს კურსები აღარ მოუწყვია, მაგრამ რომ ეს დიდი საჭიროება ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებინა, საეკლესიო გალობის შესახებ მაინც, მან ამ სამი წლის წინათ ქუაისის მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძართან გახსნა შკოლა იმერული საეკლესიო გალობის შესასწავლად, სადაც 1910 და 1911 წლებში 20 და 30 მასწავლებელი გულ მოდგინეთ სწავლობდა იმერულ საეკლესიო გალობას, თუმცა

ეს მათთვის არვის დაუძალეობია და არც მათ მოუთხოვნიათ საბჭოსაგან ფხვის ქირა და ხარჯის ფული, მსგავსად ხსენებული მასწავლებლისა, რომელიც ბრძანებს, თუ ოც მანეთს მომცემთ ვისწავლი გალობას და თუ არა, შინ წავალო. რადგან ამ წლის პირველ იანვრიდან ეს შკოლა დაიხურა უსახსრობისა გამო და იმერული საეკლესიო გალობის სწავლის საქმე კი თავისას თხოულობდა, ამიტომ საბჭომ დაიქირავა გალობის მასწავლებელი და აცნობა თავის მასწავლებლებს, —ვისაც გალობის შესწავლის უნარი გაქვს და მასთან სურვალი (ძალა არ დაუტანებია, რადგან ხარჯის ფულებს ვერ აძლევდა უქონლობისა გამო), მობძანდით და ისწავლეთ საეკლესიო გალობაო. მასწავლებლებიც ყველა ოთხივე მაზრიდან მოვიდნენ, მაგრამ სამწუხაროდ არა ყველანი გალობის შესწავლის სურვილით გამსკვალულნი; მათში ერთი არა მსურველნიც, რაღაც სხვა მოსაზრებით გამსკვალულნი და ამ არამსურველთა მცირე რიცხვმა შეძლეს, რომ წელსკურსები გაეუგემურებიათ და უდროვით დაემთავრებიათ სხვა და სხვა მიზეზების წამოყენებით და განსაკუთრებით თავის უგულობით და უადგილო თავმოყვარეობით იმის გამო, რომ გალობის მასწავლებლად მოწვეული იყო მათივე ამხანაგი სოფლის მასწავლებელი.

საბჭოს არ ჰქონდა წინდაწინ დამუშავებული, თუ რომელი კილო უნდა შეესწავლათ მასწავლებლებს, მ. რ. ხუნდაძის, თუ სხვისიო, ბრძანებს ბ. მასწავლებელი. სცდება ბ. მასწავლებელი, საბჭოს კიდევაც რომ მართლა არ ჰქონებოდა ნაჩვენები, თუ რომელი კილო უნდა ესწავლათ მასწავლებლებს, თვითონაც უნდა მიმხედარიყო ბ. მასწავლებელი, რომ იმერეთის ეპარქიის სამრევლო შკოლების მასწავლებლებს პირველ ყოვლისა უსათუოდ იმერული გალობა უნდა ესწავლათ, მაგრამ საბჭოს მანიც ნაჩვენები აქვს თავის დადგენილებაში იმერული საეკლესიო გალობის შესწავლად (საბჭოს ჟურნალი № 16 ამ წლისა) გაიხსნას კურსებიო, რაც საბჭომ თავის დროზე აცნობა მასწავლებლებს მაზრის მეთვალყურეების საშუალებით.

ამის შემდეგ რაღა საკითხავია, თუ რომელი კილო უნდა ესწავლათ მათ. ისიც უნდა ცოდნოდა ბ. მასწავლებელს, რომ მ. რ. ხუნდაძეს ეკუთვნის მართო ცოდნა იმერული გალობისა და მისი ნოტებზე გადაღება და არა თვით კილო; მასკი (მასწავლებელს) საგანი საგნის ცოდნისაგან ვერ გაურჩევია. ამ ნაირათ საბჭოს თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რომელი გალობა უნდა შეესწავლათ კურსისტებს და, თუ ამაზე კიდევ ცოტაოდენი კამათი შეიქნა, —ეს გამოიწვია ორიოდ მასწავლებლის წინადადება, რომლებიც თხოულობდნენ კახური კილოს შესწავლასაც, რასაც საბჭო წინააღიდეგა, რადგან მოკლე ვადიან კურსებზე ორივე კილოს შესწავლა მოუხერხებელი იქნებოდა.

რაიცა შეეხება მუქარას, სახლში არ წახვიდეთ, თორემ დაისჯებითო, ეს კილის წამება არის მასწავლებლების მხრით, თუ გაუგებრობა მკითხველმა გამოიწვოს, მე კი საქმის ვითარებას სისწორით გადავსცემ მას, რასაც თვით ბ. მასწავლებლის ამხანაგებიც დამიმოწმებენ. როგორც საბჭოს ხაზინადარს, საბჭოს კანცელარიაში სხვა წევრებზე უფრო ხშირად მხედება სიარული და სანამ იქვე მეორე ოთახში კურსები იყო გამართული, რომელიც არა ნაკლებ ჩემი მოვალეობისა მიზიდავდა, უფრო ხშირად დავდიოდი. მასწავლებლებიც მომმართავდნენ ხოლმე თხოვნით, ორიოდ დღე სახლში გავვიშვიო, რაზედაც მე ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევდი ყველას: „მაგისი ნება არა მაქვს, საბჭომ დაგიბარათ და მანვე უნდა განგათავისუფლოსთქო“. ეგრეთვე მეკითხებოდნენ, გალობის მკოდნეს და შკოლაში მგალობელთა გუნდის მყოფელ მასწავლებელს, რამე უპირატესობა აქვს თუ არაო და მეც ვეუბნებოდი: თუმცა ეს მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს, გალობა მის პროგრამაში შედის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინც გალობის საქმეს კარგათ წაიყვანს, თუმც ზედმეტი ჯამაგირი არ მიეცემა საბჭოსაგან, მაგრამ გადაყვან-გადმოყვანის დროს კი დიდი უპირატესობა ეძლევათქო. მაგალითისათვის უჩვენე ერთს დიდი

ხნის მასწავლებელზე, რომელიც გალობის არცოდნისათვის მოცილებულ იქმნა თავის სახლს და გადაყვანილ უფრო მცირე ჯამაგირიან ადგილზე და დაუმატე: რომ მსგავსი ამისა არაფერი მოგივიდესთ, დრო გაქვსთ, ნიჭი ხელს გიწყობსთ და ისარგებლეთ თქო. ეს იყო და ეს, ამის მეტი მუქარა, თუ ეს მუქარათ ჩაითვლება, არც მე მითქვამს და არც სხვას ვისმე, ბ. მასწავლებელსაც ეს მამობრივი დარიგება გადაუმახინჯებია და მუქარათ გამოუცხადებია.

მლ. ტ. კაპანაძე.

საღმრთო სჯულის მასწავლებლების საურადადებოთ.

იბეჭდება და გამოვა ჰირველ სექტემბრისთვის მღ. აბიათარ იაკობაშვილის მიერ შედგენილი, ჰირველდაწეებით შეკლებში სახმარებელი საღმრთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით,

რომელიც ადვილ და გასაგებ ენითაა დაწერილი. წიგნში მოთავსებულია მრავალი სურათები, კითხვები და მოკლე მოთხრობანი უმთავრეს წმინდანებზე; წიგნი მოწონებულია და ნებადართულია სასულიერო მთავრობისაგან.

კაცთ მოყვარეობაც ასეთი უნდა!

სხვასა უქადაქებდი და გამოუცდელ ვიყავ მე. ამ საღმრთო წერილის სიტყვებს მაგონებს, ქვემოთ მოხსენებული პირების მოქმედება.

ამ ერთი კვირის წინათ დაითხოვეს პეტრე-პავლეს ეკლესიის მსახური, რომელიც ემსახურა ამ ეკლესიას თერთმეტი წელი პატიოსნათ და უმარცხოთ; წინეთ კი არის ნამსახური სოფლად შედავითნის თანამდებობაზე ოცდათხუთმეტი წელი. ამოდენი ხანი პირნათლათ გაუტარებია, უფროსებში და ამხანაგებში ყველგან სიყვარული დაუმსახურებია, სამსახურის

დროს შენიშენა და საყვედური არვისგან ახსოვს და დღეს კი დაითხოვეს იმ მიზეზით, რომ მოხუცებული ხარ და მოსვენება გეჭივრებაო. თითქო მოხუცებულობა დანაშაობა იყოს, თითქო ამის მთქმელი თითონ მოხუცებული არ იყოს, თითქო მხოლოდ ეს გარემოება ყოფილიყოს მიზეზი მისი დათხოვნისა და არა სხვა რამ, რადგან გაგდებულ მოხუცებულის ადგილზე ისევ მოხუცებული მოიწვიეს....

დარჩა უნუგეშოთ ამდენი ხნის ნამსახური კაცი, რომელსაც ორმოცდაათი წელი საეკლესიო სამსახურში გაუტარებია.

ეს საკადრისი არ არის პეტრე-პავლეს ეკლესიის მსახურთაგან, რომელთა შორის არა მცირე როლს თამაშობს ახალი მნათე. რომ თავის დაფარული აზრი არ გაემჟღავნებიათ და საქმისთვის კანონიერი სახე მიეცათ, საწყალ მოხუცს უფროსმა დეკანოზმა და მისმა მნათემ მუდამ-ყამ და განუშროვებლივ სამსახური მოსთხოვეს და ეს იქ, სადაც თვიური ჯამაგირი ერთი თუმანია და ეკლესიას ერთი ბურულიც არ უდგია, რომ კაცმა თავი შეაფაროს. განა ახალ მოხუცს კი შეუძლია ამ პირობებში სამსახური? ვნახოთ.

გაორჯო კამეტავაძე.

მოწერილი აგვაპი სოფელი ბახვი.

(გურია.)

15-ს ივლისს გვეწვია ბახველებს მამა მელიტონ კელენჯერიძე ფოთიდან ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ცნობების შესაკრებად.

როგორც მოგვხსენებათ, სოფ. ბახვი გაბრიელის სამშობლოა. ბევრი სიკეთეც დაუთესია განსვენებულს აქ; მისი ღვაწლი დაუფიწყარია ბახველებისათვის: მან გამოიყვანა მდინარე ნატანების შტო, რომელიც გვერდით ჩაუვლის ზედა ბახვის, ქვედა ბახვის, შუა ბახვის, ვაკიჯვარის, ბაღდათის და ფამფალეთის თითოეულ მოსახლეს და აძლევს საუცხოვო მთის წმინდა და ცივ წყალს. გაბრიელის აშენებულია კოპწია ქართული სტი-

ლის, ლურჯი ადგილობრივი ქვით ბახვის საყდარი და იქვე ორკლასიანი შკოლა, რომელიც ინახება დღემდე მისი დატოვებული თანხით.

აი ამის გამოსაკვლევად მოხდინდა მამა მ. კელენჯერიძე, რომელმაც, მიუხედავად დიდი წვიმისა, ცხენით გამოვლო ლანჩხუთიდან 28 ვერსი, ნავით გამოვიდა ადიდებულ სუფსაში, ავიდა და ინახულა გამოყვანილი წყლის სათავე, ბახმაროს ძირში. ფოტოგრაფიაც უნდოდა წაეღო გაბრიელის ნაამაგარი ეკლესიის, სკოლის და არხის გადასაღებათ, მაგრამ ცუდი ამდისაგამო ეს დაავალა ადგილობრივ მღვდელს მამა ექვთიმე თოდორაძეს, რომელმაც მოკლე დროში უნდა მოიწვიოს ოზურგეთიდან ფოტოგრაფი, გადაიღოს ჩამოთვლილი საგნები და სურათები მიაწოდოს მამა კელენჯერიძეს.

სამწუხაროა, რომ ბახველები, გარდა მამა თოდორაძისა, ძლიერ გულ გრილად მიეგებენ მამა მელიტონს, ძლიერ სამმა-ოთხმა კაცმა მოიყარა თავი. ასე ვთქვათ ჩვენი მოამაგე პირების შრომას! იმედია, მამა კელენჯერიძე არ შეუშინდება ამას და თავის ჩვეულებრივი ენერჯით და შრომით დაფარავს უმეტესობის გულგრილობას.

ბაჩელი.

ზინ არის ღამნაშავე?

ს. ოყურეში ამ სოფელში 1900 წელში პატივცემულ მღ. თომა ქურციკიძის მეთაურობით დაარსდა ერთკლასიანი სამრევლო შკოლა, სადაც იმ წელშივე შეიკრიბა 33-მდე მოწაფე ორივე სქესისა. მასწავლებლის დაულაღავეა შრომამ მალე ნაყოფი გამოიღო და 1906 წელში მოწაფეთა რიცხვი ავიდა 100-დე. შეუძლებელი იყო ამოდენა ბავშვთა რიცხვის ერთ ოთახში მოთავსება და ერთი მასწავლებლის იმათთან მეცადინეობა. ამის გამო 1906 წლის დამლევს, ლეჩხუმის მაზრის სამრევლო შკოლების მეთვალყურე, აღძრა საკითხი იმერეთის საეპარქიო საბჭოს წინაშე, რომ ოყურეშის შკოლაში დაენიშნათ მეორე მასწავლებელი და თუ საშვალელება იქნებოდა შენობის გასადიდებლათ ფუ-

ლითაც შემწეობა მიეცა. საბჭომ ეს ორივე თხოვნა დააკმაყოფილა: დანიშნა მეორე მასწავლებელი და შენობის გასადიდებლათ 1907 წელში შკოლის გამგეს გადასცა 350 მანეთი. ეს ფული სრულიად საკმარისი იყო და შენობას რიგიანათ გადააკეთებდა და ყველასათვის მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ ჯიბეში ჩაწყობილი ფული ძნელი ამოსადები შეიქნა. შენობა მხოლოდ ზერელედ, თვალის ასახვევად ოდნავად გადიდა... სიკეთეს ნუ იკითხავთ. გააღიდა, მარა შენობა სათხებოს დაემსგავსა. სიცივე და წვიმა, როგორც კედლებიდან, ისე სახურავიდანაც თავისუფლათ ნაფარდობდა. ზამთრობით მოწაფეები სიცივისაგან ძიგძიგობდნენ და კბილებს რაწკუნნი გაჰქონდა, და მასწავლებელიც, სიცივისაგან ათრთოლებული, იმავ ჰანგზე ბანს ეუბნებოდა. გაჩნდა ფილტვების ანთება-და ხურეება, ბავშვებმა თავს უშველეს და დღეს, რომ შკოლაში შებრძნდეთ, ასი ბავშვის მაგიერ დანიხავთ 3 ანუ 4 ბავშვს, რომელნიც გულ ნატკენად შესჩერებიან მასწავლებელს და მის სწავლებას აბა რალა ხალისი ექნება?

ყორანი.

ქორეთის საზოგადოება და სოფელი ითხვისი.

ქორეთის საზოგადოებაში 1500 მოსახლეზე მეტი მცხოვრებია ყველა წოდებისა. ამ საზოგადოებაში შედის სოფლები: ითხვისი, ქორცილა, ქორეთი, გორისა, მერჯევი, საირხე და კალუათა. ეს სოფლები შეყოლებულია მდინარე ყვირილის პირად აღმოსავლეთ სამხრეთის მხრით ქიათურიდან საჩხერის სადგურამდე. შავი ქვიანი ადგილები მხოლოდ ითხვისშია, დანარჩენ სოფლებში არა. ხალხი მისდევს მიწის მუშაობას და მევენახეობას. ადგილი მთელ საზოგადოებაში ნოყიერია და კარგ მოსავალს იძლევა, ღვინოც სასიამოვნო სასმელია.

ხსენებულ სოფლებში ყველგან ახალი და კარგი ქვიტიკირის ეკლესიებია, გარდა ქორეთისა. ქორეთში კი ძველი პატარა ქვიტიკირის ეკლესიაა; როგორც ამბობენ შიგნით ძველი მხატვრობაა, მაგრამ დროთა ეთიარებისა გამო ადგილ-ადგილ წაბლალული. თუმცა დიდი ხანია სასულიერო

მართებლობა ცდილობს, რომ მრევლს აეშენებია ახალი ქვიტკირის ეკლესია, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხებია. ძველი ეკლესია ოც—ორმოც კაცს ვერ იტევს ჩემი აზრით ადგილობრივი ბლადონების და მღვდლების უნერგობა, თორემ აქამდე გაკეთდებოდა ამ სოფელში ეკლესია, რადგან მრევლი 350 მოსახლეზე მეტია.

ს. ქორეთში ერთკლასიანი ორ კომპლექტიანი სამინისტრო შკოლაა, ითხვისშიაც ორ კომპლექტიანი სამრევლო შკოლაა, რომელიც კარგ ქვიტკირის შენობაშია მოქცეული. მერჯვეშიც გორისაშიც თითოკლასიანი სამრევლო შკოლებია და სხვა სოფლებში არა. უნდა სთქვას სიმართლე კაცმა, რომ სხვა სოფლებზე ს. ითხვისი ყოველი მხრით განიჩევა და ხალხიც ძლიერ მიჰყალიბა კეთილი საქმისა. ეს მტკიცდება შემდეგით: აქ არი აშენებული დიდი ქვიტკირის ეკლესია ოთხი ეტაჟი ქვიტკირის სამრევლოთი, რომლის მზგავსი მთელს იმერეთის ეპარქიაში არ უნდა იყოს, მშვენიერი ქვიტკირის შკოლა მ. დეკ. ი. წერეთლის თაოსნობით აშენებული, რომელშიდაც ყოველ წელს ასამდე ბავშვი სწავლობს; იმავე დეკანოზის თაოსნობით იხსნება აქ წვრილი კრედიტის ბანკი, რომელიც უკვე დამტკიცებულია სათანადო მართებლობისაგან და მალე დაიწყებს წარმოებას. დიდი ხანი არ არი, რომ მამა წერეთლის წინადადებით მთელმა ითხვისის ეკლესიის მრევლმა დაადგინა განაჩენი ახალი ქვის იკონოსტასის გაკეთებაზე და მხატვრობის მოპოებაზე. ყველა ესენი მოწმობენ, რომ მრევლი ხსენებული ეკლესიისა ყოველ კეთილ საქმეს თანაუგრძნობს და მზად არი ხელი შეუწყოს. ბევრისაგან გავიგონე, რადგან დავიწყეთ, იმისთანა იკონოსტასი ავაგოთ, სხვაგან უკეთესი არ იყოსო. ორიოდ აზნაური აბრკოლებს ხოლმე ხანდახან საქმეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „ოჯახში ერთი დუხჭირი გაერევაო“ ამიტომ მათი ხმა ამაოთ ქრება.

ამისთანა გულმხურვალე კეთილის შდოში ხალხი, როგორც ითხვისლებია ხანდახან იჩაგრება და აი რაშია საქმე: ითხვისელებს უნდოდათ და ეხლაც უნდათ, რომ სამრევლო

შკოლისთვის მიემატებიათ კიდევ ერთი დიდი დარბაზი და ორკლასიანათ გადაეკებიათ ხსენებული შკოლა. მაგრამ ამ დროს, სანამდი ეს საქმე მოხერხდება, გაჩნდა ბოქაული აბაქაროვი ქორეთის საზოგადოებაში, მოუყარა ხალხს თავი და წინადადება მისცა დაედგინათ განაჩენი ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებლისათვის შენობის აშენებაზე და ადგილის მოპოებაზე. ითხვისებმა მაშინვე განაცხადეს, რომ მათ სამრევლო შკოლა აქვთ მშვენიერ ქვიტკირის შენობაში, ფიქრობენ კიდე მიაშენონ დიდი დარბაზი, ქორეთის სამინისტრო შკოლით არაოფეს არ უსარგებლიათ და ვერც ისარგებლებენ სიშორისა გამო, ამიტომ თხოულობენ, რომ შენობის აშენებაში და ადგილის ყიდვაში ნუ მიღებიებენ მონაწილეობას. მაგრამ ბოქაული მათრახით დაემუქრა და ორიოდე კიდევ დაამწყდია. ეხლა კი 12 მანეთს ახადევიებენ თითო მოსახლეს, რაიცა მძიმე ტვირთად დააწვა ითხვისელებს. ჩვენი აზრით ითხვისელებს არაფერი არ უნდა გადახდოდათ სამინისტრო შკოლისთვის, რადგან მათ არა მცირე ხარჯი მოუვიდათ სამრევლო შკოლის აშენებაზე. მით უმეტეს, რომ სამინისტრო შკოლაც მართებლობის არი და სამრევლოც და, რომ სამასწავლებლო საბჭოს მოწოდომებია ითხვისელებს გაანთავისუფლებდენ მეტი და უბრალო ხარჯისაგან. საბჭოს ასეთი უგულობა ცუდად იმოქმედებს სამრევლო შკოლის წინსვლაზე საზოგადოდ.

ორიოდე სიტყვა აქაურ ინტელიგენციაზე. ს. ითხვისიდან რამოდენიმე უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში აღზრდილი ყმაწვილია სხვა და სხვა ქალაქებში და დაბებში გაფანტული რომელიც სწორეთ ითხვისელების ხარჯით აღზრდილნი არიან, მაგრამ ესენი უფრო ჯიბის გასქელებასა და ფუფუნებით ცხოვრებას ელტვიან მინამ საზოგადო საქმეს და ხალხი ორიოდეს გარდა, ვერც კი იცნობს. ნუ თუ ეს ვაებატონები ზნეობით და გონებით ვალდებულნი არ არიან, რომ ხალხს მოეხმარონ რამე საკულტურო საქმეებში?! ერთი პირი, რომელმაც ანბანი ითხვისის შკოლაში ისწავლა დღეს უმაღლესი სწავლით არი აღჭურვილი, ადგილიც კარგი უკავია, ენახოთ რითი მოეხმარება ითხვისელებს?!
ბილუნეთელი.



ამა აგვისტოს 17 ქ. ქუთაისში გარდაცვალა ყველასგან პატივცემული დეკანოზი იოსებ სტეფანესძე კიკაჩიშვილი. განსვენებული 75 წლის იყო. ორმოცდა თოთხმეტი წელი გაატარა სასულიერო სამსახურში და ითვლებოდა ერთგულ, მუყაით და პატიოსან მსახურად.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. რა ერგება მედავითნეს სახელმწიფო ჯამაგირიდან პრაცენტების გამორიცხვით და მრევლის შემოსავლიდან?

—**პას.** მედავითნეს, როგორც ჯამაგირიდან, ისე მრევლის შემოსავლიდან, კანონით ერგება შეოთხედი, თუ ერთი მედავითნეა. სახელმწიფო ჯამაგირიდან ირიცხება მანეთზე ორი კაპეიკი საპენსიო თანხის სასარგებლოთ.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბატონ ივანე გიორგისძე ჯორჯიკიას, რომელის თაოსნობით და ნიეთიერ დახმარებით განახლდა ნოჯიხევის ორშტატინი ეკლესიის შენობა. უსურვებთ მას დღეგრძელობას ამისთანა კეთილი საქმის აღსრულებისათვის.

ნოჯიხევის ორშტატინი ეკლესიის სამრევლოს მონდობილებით

მღვდელი ეპიფანე გეთია.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ნიკოსიის წმინდის ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლოთაგანს პეტრე ნიკოსძე ლურჯაიას, რომელმაც კეთილ ინება და მისი საკუ-

თარი საშუალებით 25-თი მანეთის ღირებული რკინის ქიშკარი გაუკეთა ჩვენს ეკლესიის გალავანს.

ამვე ეკლესიის მედავითნე პლატონ საჯაია.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი სამწყსოს სახელით ზუგდიდის მაზრის სოფლის ღვინის მცხოვრებს აზნაურს ბახვა გიორგისძე დგებუაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამი ლიის ღვთისმშობლის შტატის და მახედ მიწერილ ეკლესიებს ორი დიდი კანდელი, ღირებული ორივე სამოც მანეთათ.

ლიის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი მოსე კვერკველია.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, მე ჩემ თავათ და ჩემი მრევლის მაგიერათაც, მადლობა შეესწირო დიდათ პატივცემულ ღვინეს, მ. ალექსი ჯაფარიძეს, რომელმაც გადმომცა 35 მან. შეგრავილი ეკლესიის ზარის შექმნის დანიშნულებით იმ დროს, როდესაც იგი ჩემს მრევლს მწყსიდა. აგრეთვე მნათე საჩინო გაფრინდაშვილს, რომელმაც გადმომცა 5 მან. ვინაიდან ზარა, ღირებული 400 მანეთამდის ეკლესიას უკვე შემოსწირა მოწამეთა შთის მონასტრის ყოფილმა ილუმენმა სპირიდონ ბაქრაძემ, შემთხვევით ვისარგებლე და ზემოლანიშნული 40 მან. მივაქციე ერთი ხელი ღვინის ბრწყინვალე შესამოსისათვის, რომელიც უკვე შევიძინეთ.

ს. ზოდის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დ. ცომაია.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.